



მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის
შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

დანართები:

დანართი 2. კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები და
მათთან ჩატარებული ინტერვიუების შეჯამებები

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(დანართი 2)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ“ (ACT).

პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი

მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩოხანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

შინაარსი

I. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ჩადრმავებული ინტერვიუების მონაწილეები და შეხვედრების გრაფიკი.....	4
II. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ჩადრმავებული ინტერვიუების შეჯამებები.....	8
საჯარო ორგანიზაციები.....	8
საერთაშორისო ორგანიზაციები.....	23
გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები.....	25
ბიზნეს-ასოციაციები და კერძო სექტორი.....	28
საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები.....	32

დანართი 2. კვლევაში მონაწილე დაინტერესებული მხარეები და მათთან ჩატარებული ინტერვიუების შეჯამებები

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ჩაღრმავებული ინტერვიუები¹ ძირითად ინფორმანტებთან (KIIs) ჩატარდა 2024 წლის იანვარი-თებერვლის განმავლობაში, დამატებით ერთი ინტერვიუ ჩატარდა 2024 წლის ივლისში. საბოლოოდ 29 დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 39-მა რესპონდენტმა და ინტერვიუების რაოდენობამ შეადგინა 34. დეტალურად ინტერვიუში მონაწილე მხარეები, შესაბამისი პირები და მათთან შეხვედრის დრო წარმოდგენილია დოკუმენტის **I ნაწილში**, ხოლო შესაბამისი კვლევის შედეგები (ჩაღრმავებული ინტერვიუების შეჯამებები) წარმოდგენილია ქვემოთ, დოკუმენტის **II ნაწილში**.

I. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების მონაწილეები და შეხვედრების გრაფიკი

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან (KIIs): დაინტერესებული მხარეების სია და ჩატარებული შეხვედრების გრაფიკი				
#	ორგანიზაცია	თანამდებობა	სახელი, გვარი	შეხვედრის დრო
საჯარო ორგანიზაციები:				
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო				
1	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	ხელმძღვანელის მოადგილე	ლიკა გიორგაძე	2024 წლის 1 -ელი თებერვალი
	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	ბიომრავალფეროვნების სამმართველოს ხელმძღვანელი	ნონა ხელაია	2024 წლის 15 თებერვალი
	ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი	ბიომრავალფეროვნების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	ირინე ლომაშვილი	2024 წლის 15 თებერვალი
2	სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი	აკვაკულტურის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი	არჩილ ფარცვანია	2024 წლის 1-ელი თებერვალი
3	სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი	სურსათის უვნებლობის სამმართველოს უფროსი	მაია ბერუაშვილი	2024 წლის 25 იანვარი
4	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს უფროსი	ირაკლი ჭავჭავაძე	2024 წლის 25 იანვარი

¹ ჩაღრმავებული / სიღრმისეული ინტერვიუ (in-depth interview) არის თვისებრივი კვლევის მეთოდი და მისი მიზანია, სიღრმისეულად შეისწავლოს რესპონდენტის თვალსაზრისი, გამოცდილება, პერსპექტივები შერჩეული საკითხის გარშემო. (ავტორის შენიშვნა).

	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის უფროსი	მაია ჩხოზაძე	2024 წლის 30 იანვარი
5	სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	ნაკადულის კალმახის აღდგენის პროექტის მენეჯერი	შოთა ჯოხაძე	2024 წლის 9 თებერვალი
6	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მეთევზეობისა და აკვაკულტურის სამმართველოს უფროსი	რამაზ მიქელაძე	2024 წლის 29 იანვარი
	სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო	ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი	ზურაბ დეკანოიძე	2024 წლის 14 თებერვალი
7	ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო	პროექტების განვითარების დეპარტამენტის უფროსი	მარიამ გელაშვილი	2024 წლის 6 თებერვალი
8	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ანა გემაზაშვილი	2024 წლის 15 თებერვალი
	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარიის დეპარტამენტი	თეა ოშხერელი	2024 წლის 26 თებერვალი
	სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო	ვეტერინარიის დეპარტამენტი	თორნიკე ხარგალაძე	2024 წლის 26 თებერვალი
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო				
9	სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	დირექტორის პირველი მოადგილე	არჩილ ინასარიძე	2024 წლის 26 თებერვალი
10	სსიპ „აწარმოე საქართველოში“	მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის უფროსი პროგრამის მენეჯერი	ირაკლი ვეშაგური	2024 წლის 6 თებერვალი
ადგილობრივი თვითმმართველობა				
11	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	აგრარული განვითარების დეპარტამენტის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი	ჯიმშერ დიასამიძე	2024 წლის 13 თებერვალი

12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	მერის წარმომადგენელი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში	დავით გუმბარიძე	2024 წლის 9 თებერვალი
	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია	მერის წარმომადგენელი ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში	გიგა დოლიძე	2024 წლის 9 თებერვალი
13	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი ჩახვაძე	2024 წლის 5 თებერვალი
14	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	ირაკლი ლეჟავა	2024 წლის 12 თებერვალი
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის ინოვაციებისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების უფროსი	თეონა გეთია	2024 წლის 12 თებერვალი
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის ინვესტიციების მოზიდვისა და ტურიზმის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	მელანო დგებუაძე	2024 წლის 12 თებერვალი
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია	ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე	ზვიად კობახიძე	2024 წლის 12 თებერვალი
საერთაშორისო ორგანიზაციები:				
15	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida)	პროექტი „გადავარჩინოთ ბუნება-საქართველოს“ ბიომრავალფეროვნების მიმართულების კოორდინატორი	სოსო ქარცივაძე	2024 წლის 1-ელი თებერვალი

16	ცენტრალური აზიისა და კავკასიის მეთევზეობისა და აკვაკულტურის რეგიონალური კომისია (CACFish)	CACFish-ის სამდივნო / მეთევზეობისა და აკვაკულტურის უფროსი ოფიცერი	ჰაიდარ ფერსოი	2024 წლის 9 თებერვალი
17	ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისია (GFCM)	GFCM-ის სამდივნოს წარმომადგენელი	მიგელ ბერნალი	2024 წლის 15 ივლისი
გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები:				
18	ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“	თავმჯდომარე	სოფიკო დიასამიძე	2024 წლის 30 იანვარი
19	საქართველოს ტივტივით სპორტული თევზჭერის ეროვნული ფედერაცია	პრეზიდენტი	თამუნა მეზურნიშვილი	2024 წლის 9 თებერვალი
20	M.A.P მოძრაობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ	ხელმძღვანელი	ზურაბ მუშუყუდიანი	2024 წლის 5 თებერვალი
ბიზნეს-ასოციაციები და კერძო სექტორი:				
21	„საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაცია“	ასოციაციის თავმჯდომარე	ნინო ორჯონიკიძე	2024 წლის 21 თებერვალი
22	„საქართველოს საზღვაო თევზჭერის კლასტერი“	დირექტორი	გიორგი გოგოტიძე	2024 წლის 30 იანვარი
	„საქართველოს საზღვაო თევზჭერის კლასტერი“	გამგეობის თავმჯდომარე	ვახტანგ ბაბილუა	2024 წლის 30 იანვარი
23	„საქართველოს თევზმომწმენებელთა ასოციაცია“	თავმჯდომარე	ნინო ჩოხანიანი	2024 წლის 26 თებერვალი
24	წალკის წყალსაცავის ლიცენზიანტი / შპს „ჯი ეფ სი“	დირექტორი	ზვიად ჯიქია	2024 წლის 6 თებერვალი
25	გადამამუშავებელი საწარმო „უმალი“	დირექტორი	დიმიტრი წვერავა	2024 წლის 7 თებერვალი
საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები:				
26	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	ბელა ჯაფომვილი	2024 წლის 7 თებერვალი
27	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მოწვეული უფროსი მასწავლებელი, ბიოლოგიის დოქტორი	რამაზ მიქელაძე	2024 წლის 29 იანვარი

28	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ნავიგაციის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი	ანა შოთაძე	2024 წლის 23 თებერვალი
29	შპს სუხმან კონსალტინგი	საკონტაქტო პირი	გურამ შარაშენიძე	2024 წლის 29 იანვარი

II. დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ჩაღრმავებული ინტერვიუების შეჯამებები

საჯარო ორგანიზაციები

<p><i>ბიომრავალფეროვნების დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის მიმართულება:</i></p> <ul style="list-style-type: none"> • საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი • საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტი
<p>პასუხების შეჯამება:</p> <p>რესპონდენტებმა განიხილეს თევზჭერის სფეროში არსებული მდგომარეობა, პრობლემები, მათი მოგვარების გზები და მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის საჭიროება ქვეყანაში.</p> <p>აღინიშნა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატობის კითხვარში² (2022) ცალკე თავი მიემდვნა თევზჭერის საკითხებს. ამ კითხვარზე მუშაობამ სამინისტროსთვის ცხადი გახადა, რომ ძალიან ბევრი საკითხი, რასაც ევროკავშირი აქცევს ყურადღებას, არ არის ქვეყანაში სათანადოდ გაანალიზებული; არ ხდება შესაბამისი მონაცემების შეგროვება და ინფორმაციის დამუშავება. არის მოლოდინი, რომ თევზჭერის მიმართულება იქნება ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული საკითხი მომავალში ევროკავშირში გაწევრიანებისთვის. დღეს თევზჭერის მიმართულებით ქვეყანას აქვს ეროვნული საჭიროებებიც და საერთაშორისო ვალდებულებებიც ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ნაწილში; ასევე, სხვა საერთაშორისო ვალდებულებები ქვეყანას აქვს ალბულის არაერთი კონვენციით. საქართველო ჯერ არ არის “ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის“ (GFCM) სრულუფლებიანი წევრი, აქვს თანამშრომელი ქვეყნის სტატუსი. თუმცა, საქართველოს უკვე მოუწევს GFCM-ის წევრად გახდომა, რადგან ეს არის ევროკავშირის რეკომენდაციაც და გარდა ამისა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაშიც არის ჩანაწერი³, რომ ქვეყანამ</p>

² [“Questionnaire: Information requested by the European Commission to the Government of Georgia for the preparation of the Opinion on the application of Georgia for membership of the European Union \(Part II\)”](#) (April 2022). CHAPTER 13: FISHERIES.

³ [ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის](#) (27/06/2014).

მუხლი 234. თევზის პროდუქტით ვაჭრობა

თევზის მარაგის მდგრადი და გონივრული მართვის მნიშვნელობის გათვალისწინებით და სავაჭრო ურთიერთობებში ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის მიზნით მხარეები იღებენ ვალდებულებას:

ითანამშრომლოს თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან (regional fisheries management organization/RFMO). ასეთი ორგანიზაცია არის [GFCM](#)-ი და “ცენტრალური აზიისა და კავკასიის მეთევზეობისა და აკვაკულტურის რეგიონალური კომისია” ([CACFISH](#)). ამ ვალდებულებების გათვალისწინებით, საჭიროდ და მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ მოწესრიგდეს სახელმწიფო ხედვა ამ მიმართულებით და კანონმდებლობის ჰარმონიზება მოხდეს ევროკავშირის მოთხოვნებთან, მათ შორის. ამას, თავისთავად, უნდა მოყვეს დარგის მართვის ინსტიტუციური და ტექნიკური გაძლიერებაც. ქვემოთ ჩამოთვლილია ის კონკრეტული გამოწვევები, რაც, რესპონდენტთა მოსაზრებით, დღეს საქართველოს თევზჭერის სექტორში არსებობს:

- **საკანონმდებლო საკითხები.** საქართველოში თევზჭერის სფერო საჭიროებს სამართლებრივად მოწესრიგებას. ბევრი საკითხი თევზჭერასთან დაკავშირებით (მათ შორის, რესურსების დაცვასთან დაკავშირებით) არის დღეს პრობლემური. ამავდროულად, ქვეყანას აქვს საერთაშორისო ვალდებულებებიც, რომლებიც უნდა შესრულდეს. ეს დარგი სამართლებრივად მოწესრიგებას საჭიროებს. შეიძლება ითქვას, რომ დარგში მთავარი პრობლემა არის სწორედ არაერთიანი, არაერთგვაროვანი, მიმოფანტული სამართლებრივი მოწესრიგება საკითხებისა. ქვეყანას არ აქვს ძირეული კანონი თევზჭერასთან დაკავშირებით. არსებობს [კანონი აკვაკულტურის შესახებ](#) (2020), თუმცა, ეს არის მაინც ცალკე მიმართულება. თევზჭერაში შედის აკვაკულტურა, თუმცა, ამის გარდა, ის კიდევ მოიცავს სანაპირო, საზღვაო, მდინარეებსა და ტბებზე თევზჭერას. არსებობს [ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონი](#) (1996), რომელიც სამართლებრივ საფუძვლებს ჰქმნის დარგისთვის, თუმცა, ერთიანი საკანონმდებლო მოწესრიგება, ერთი სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტი ამ მიმართულებით არ არის ქვეყანაში. მთავრობის დადგენილებებითა და ბრძანებებით წესრიგდება რიგი საკითხები და ნაწილი საკითხებისა კი რეგულირების მიღმა რჩება. რაც არსებობს რეგულაციები, ესეც მოძველებულია და ვეღარ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. დღეს საქართველოში თევზჭერის მიმართულებით ლიცენზირების საკითხების რეგულირება ხდება [მთავრობის 138-ე დადგენილებით](#) (2005) (დამატებით [ტექნიკური რეგლამენტი №423](#) (2013) განსაზღვრავს ბადე-იარაღების საკითხებს). თუმცა, რეგულირების ეს სახე ეწინააღმდეგება [ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონს](#) (2005), რის მიხედვითაც ლიცენზიების გაცემა უნდა წესრიგდებოდეს

(e) შეძლებისდაგვარად მჭიდროდ ითანამშრომლონ თევზჭერის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან.

მუხლი 336.

მხარეები განახორციელებენ ერთობლივ ქმედებებს, გაცვლიან ინფორმაციას და დაეხმარებიან ერთმანეთს, რათა ხელი შეუწყონ:

(c) რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის, მეთევზეობის მართვის რეგიონული ორგანიზაციების ფარგლებში, მიზანშეწონილობის მიხედვით.

მუხლი 337.

336-ე მუხლზე დაყრდნობით და საუკეთესო მეცნიერული რჩევების გათვალისწინებით, მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობასა და საკუთარი საქმიანობის კოორდინაციას შავ ზღვაში წყლის ცოცხალი რესურსების მართვისა და კონსერვაციის სფეროში. ორივე მხარე ხელს შეუწყობს შავი ზღვის რეგიონულ თანამშრომლობას და მეთევზეობის მართვის შესაბამის რეგიონულ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს, მიზანშეწონილობისამებრ.

საკანონმდებლო აქტით და მხოლოდ დროებით შეიძლება იყოს კანონქვემდებარე აქტით მოწესრიგებული⁴. დღეს ვერ უქმდება ზემოაღნიშნული კანონქვემდებარე აქტი/დადგენილება, ვინაიდან არ არის სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი კანონი.

- **დარგის ინსტიტუციური მართვა.** საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ თევზჭერის მიმართულება თითქმის ყველა ქვეყანაში არის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი და როგორც წესი, ამ სფეროს მართვისთვის ცალკე არის გამოყოფილი შესაბამისი ორგანო/სახელმწიფო დაწესებულება, სადაც სფეროს სპეციალისტები მუშაობენ და ისინი უმკლავდებიან ამ მრავალწახნაგოვან საკითხს. თევზჭერა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, წარმოებასთან (თევზის რესურსის მოპოვება, გადამუშავება და ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობები ქვეყნებში) და მეორე მხრივ, ბიომრავალფეროვნების დაცვასთან (თევზი ველური ცხოველია, საჭიროებს დაცვას). მდგრადობა სჭირდება როგორც ბიომრავალფეროვნების დაცვას, ასევე ეკონომიკურ განვითარებას.
- **დარგის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერა ეკონომიკური განვითარებისთვის.** თევზჭერა რომ განვითარდეს, როგორც ეკონომიკური დარგი, საჭიროა არსებობდეს სახელმწიფო ორგანო, რომელიც შესაბამის პოლიტიკას წარმართავს. გასათვალისწინებელია, რომ ბევრ ქვეყანაში თევზჭერის, როგორც ეკონომიკური დარგის განვითარება ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებლობაშია. რამდენიმე წლის წინ საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს [სსიპ „აწარმოე საქართველოში“](#) ჩაერთო დარგის ფინანსურ მხარდაჭერაში და გამოყო გრანტი გემების შეძენისთვის. თუმცა, სანამ გრანტი გამოიყოფა, მნიშვნელოვანია, გაკეთდეს დარგის წინასწარი ანალიზი და წინასწარი მოკვლევა, შესაბამისი ბიზნეს-გეგმის შედგენა და ამის შემდეგ საჭირო დაფინანსების წყაროების მოძიება. ეს წყარო, შესაძლოა იყოს როგორც სახელმწიფო დაფინანსება, ასევე ევროკავშირის ფონდებიც. მაგალითად, ბრიუსელში არსებობს “ევროპის საზღვაო, მეთევზეობისა და აკვაკულტურის ფონდი” ([The European Maritime, Fisheries and Aquaculture Fund](#)), საიდანაც ასევე შეიძლება დაფინანსების მოთხოვნა.
- **ლიცენზირების სისტემა.** საქართველოში თევზჭერის ლიცენზირების სისტემა არ არის ეფექტიანი. 2006 წელს აუქციონის სახით მოხდა ლიცენზიების გაყიდვა 10 წლის ვადით. 2006 წლის შემდეგ დღემდე იგივე ფასებია დაწესებული ბიორესურსებით სარგებლობასა და რეგულირებაზე, განახლებულ ლიცენზიაშიც 2036 წლამდე იგივე ფასებია. ეს ვერ იქნება ეფექტიანი, ვინაიდან ამ პერიოდში მართო ქაფშიაზე დაკვირვებაც თვალსაჩინოს ხდის, რომ ფასები მნიშვნელოვნად გაზრდილია მსოფლიო ბაზარზე.

⁴ [საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ \(24/06/2005\).](#)

თავი XI. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 40. ლიცენზიებისა და ნებართვების გამცემი ორგანოებისა და გაცემის წესის გარდამავალი რეგულირება

3. თუ ამ კანონით განისაზღვრა ისეთი ლიცენზიის ან ნებართვის სახე, რომლის დამატებითი სალიცენზიო ან სანებართვო პირობები არ არის განსაზღვრული საკანონმდებლო აქტით, ამ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე სალიცენზიო ან სანებართვო პირობები დგინდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

- **კვოტირების სისტემა.** საქართველოში თევზის რესურსის კვოტირების სისტემა არ არის ეფექტიანი. 2006 წლიდან 2016 წლამდე მონაცემები დაწესებული კვოტისა და ფაქტიურად დაჭერილი თევზის რესურსის შესახებ აჩვენებს, რომ ამ პერიოდში საქართველოში კვოტა არ სრულდებოდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, ყოფილიყო ან არასწორად გამოთვლილი კვოტა ან არასაკმარისი თევზჭერის მოცულობა. თუმცა, ეს სიტუაცია დღეს შეიცვალა, “ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის“ ([GFCM](#)) მხარდაჭერით მოხდა საქართველოში კვოტების დაწესება განახლებული მეთოდით, შესაბამისი კომპიუტერული მოდელებით. ბოლო პერიოდში კვოტასა და ჭერილს შორის უფრო მიახლოებული მონაცემებიც ჩანს⁵.
- **სანაპირო თევზჭერა.** კონტროლის თვალსაზრისით, დღესდღეობით ასე თუ ისე მოწესრიგებულია შავ ზღვაში ლიცენზიანტების მიერ განხორციელებული თევზჭერა. ამისგან განსხვავებით, სრულიად დაურეგულირებელია მცირემასშტაბიანი სანაპირო თევზჭერა ქვეყანაში და ამის მიზეზია ძირითადად ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობა. საქართველოში სანაპირო თევზჭერები, სხვათა მსგავსად, ექვემდებარებიან ზოგადი თევზჭერის წესებს, მაგრამ რეალურად რა სახეობის თევზი დაიჭირეს და რა რაოდენობით, ამის აღრიცხვასა და ინფორმაციის მოწოდებაზე მათ ვალდებულება არ აქვთ საქართველოში, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნები ამას აღრიცხავენ. საქართველოს აქვს უკვე ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და ამ საკითხის მოწესრიგება აუცილებელია.
- **სპორტულ-სამოყვარულო თევზჭერა.** სპორტულ თევზჭერასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებობს პრაქტიკა სპორტული თევზჭერის რეგულირებისთვისაც. ამბობენ, თითქოს არაფერია ერთი ადამიანი თუ სპორტული მიზნით 2კგ თევზს დაიჭერს, თუმცა, როდესაც ეს 2კგ ვრცელდება, მაგალითად, 10 ათას ადამიანზე და კვირაში ორჯერ ამ მიზნით ხდება თევზჭერა, ჯამში ეს მოცულობა მნიშვნელოვან რიცხვს აღწევს. საზღვარგარეთ არის ფასიანი წყალსატევების პრაქტიკა. თუ სახელმწიფო წყალსატევია, ისიც ფასიანია და ამ შემთხვევაში ეს აკუმულირებული თანხა მიდის შემდეგ სახელმწიფოს მიერ თევზის მარაგების აღდგენაზე.
- **მიკვლევადობის საკითხები.** მნიშვნელოვანია მოპოვებული თევზის რესურსის მიკვლევადობის საკითხები. დღეს [სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო](#) ამოწმებს ბაზარზე თევზს იმ კუთხით, არის თუ არა ის დაავადებული და როგორია მისი შენახვის პირობები. თუმცა, ამის გარდა, ბიომრავალფეროვნების მიზნებისთვის, საინტერესოა, კონკრეტული თევზის რესურსი რა მეთოდებით იყო დაჭერილი და

⁵ მოცემულ პერიოდში თევზჭერის კვოტის ათვისების მაჩვენებელს ასახავს მოპოვებული თევზის რესურსებსა („ჭერილი“) და დაწესებულ კვოტას შორის ფარდობა (%). სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში შავ ზღვაში კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) 2006-2023 წლებში წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
28%	41%	48%	62%	34%	14%	91%	81%	74%	67%	52%	86%	36%	71%	66%	66%	62%

(ავტორის შენიშვნა).

ამაზეც უნდა არსებობდეს მიკვლევადობის სქემა (მაგალითად, მსგავსი კარგი პრაქტიკა უკვე არსებობს ტყის სექტორში). პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა არის უკვე საბოლოო პროდუქტის გაყიდვების ბაზრის კონტროლი. მოპოვებული თევზი საბოლოოდ მიდის საცალო გაყიდვის ობიექტებზე (ბაზარი, რესტორნები და ა.შ.). თევზის პროდუქტის მიმართ სავალდებულო უნდა იყოს გარკვეული სერტიფიკატის თანდართვა, სადაც მითითებულია, სად არის მოპოვებული ეს თევზი და ყველა სხვა საჭირო დეტალი მიკვლევადობისთვის. ამ სერტიფიკატის არსებობა აუცილებელია, ეს ბევრ პრობლემას მოხსნის, მათ შორის, რაც მთავარია, სტატისტიკის პრობლემას.

- **საინფორმაციო, აღრიცხვის, მონიტორინგისა და კონტროლის სისტემები.** მიუხედავად იმისა, რომ [სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი](#) (გზდ) და [სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო](#) დღესაც მუდმივად ავითარებენ საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემებს, დარგში მონაცემების მოპოვება და ინფორმაციული უზრუნველყოფა კვლავ საჭიროებს გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, მეტად განვითარდეს თევზის რესურსთან დაკავშირებით მიკვლევადობის კვლევები და ამ კვლევებს სჭირდება შესაბამისი მონაცემებისა და დეტალური ინფორმაციის არსებობა. გარდა ამისა, ცალკე აღსანიშნავია საჭირო სტატისტიკისა და მონაცემების არსებობა უშუალოდ სანაპირო თევზჭერასთან დაკავშირებით; ასევე, ე.წ. „დაწუნებულის“ და „თანჭერილის“ შემთხვევების აღრიცხვაზეც ქვეყანაში არის პრობლემები. მნიშვნელოვანი საკითხია მონაცემები „უკანონო, დაურეგისტრირებელი და დაურეგულირებელი თევზჭერის“ (IUU fishing) შესახებ. ლიცენზიანტების მოპოვებულ რესურსზე გარკვეულწილად არის მონაცემები, თუმცა, სანაპირო თევზჭერაზე - არა. გასათვალისწინებელი საკითხია ის, რომ უფრო მეტად ძვირფასი თევზის (მაგალითად, კამბალა, კეფალი) დაჭერა სწორედ სანაპირო სექტორზე მოდის.
- **ბრაკონიერობა.** [საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ](#) მოამზადა ახალი [კანონპროექტი](#) (2023) ე.წ. ელექტრომოკური აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს ბრაკონიერობის მიმართ მექანიზმების გამკაცრებას. ასევე იყო მცდელობა, რომ დარეგულირებულიყო ბადე-იარაღების გამოყენების საკითხი. თუმცა, ჯერჯერობით ეს შეჩერებულია, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ დღესდღეობით ძალიან გართულებულია ბადეების რეგისტრაცია და მეორე მხრივ, არსებობს სოციალური მიზეზებიც.
- **თევზის რესურსების ბიომრავალფეროვნება.** საქართველოში არის პრობლემები თევზის სახეობების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. უფრო ადრინდელ პერიოდში ქვეყანაში თევზის ბევრ სახეობაზე იყო ხოლმე კვოტა (16 ან მეტი), ახლა ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. მაგალითად, კამბალაზე ქვეყანაში დღეს კვოტა არ წესდება. როდესაც [GFCM](#)-ში მიმდინარეობდა პროცესი, რომ დაედგინათ შავი ზღვის ქვეყნებს შორის კამბალას მარაგი (ვინაიდან ეს სახეობა არის მოწყვლადი და სჭირდება მას ქვეყნების გაერთიანებული მენეჯმენტი), საქართველოს შეხვდა თავიდან 5 ტონის მოცულობის კვოტა. როდესაც სახეობაზე პირველად კეთდება კვლევა, მარაგების დადგენისთვის ისტორიული ჭერების მოცულობას ითვალისწინებენ და ვინაიდან საქართველოს ისტორიულ ჭერებში კამბალა არ ფიქსირდებოდა, კვოტაც, შესაბამისად, ნაკლები მიენიჭა ქვეყანას. აქ

პრობლემა ის არის, რომ შესაძლოა კამბალას ჭერა ხდებოდეს საქართველოში სანაპირო თევზჭერით (კამბალა ფსკერული სახეობა) და რეალურად ეს მონაცემები ქვეყანას არ აქვს (კამბალას ასევე შეიძლება იჭერდეს ქართული ე.წ. 12%-იანი გემებიც/“კლასტერი“, თუმცა მცირე რაოდენობით). ამ საკითხების გათვალისწინებით, GFCM-მა საქართველოს კვოტა კამბალაზე გაზარდა შემდეგ 25 ტონამდე⁷.

- **ინვაზიური სახეობები.** ინვაზიურ სახეობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ დღეს დიდი ყურადღება არ ექცევა ამ საკითხს. ბოლო პერიოდში მოხდა რიგი ინვაზიური სახეობების მოცვა ტერმინით “ადგილობრივთან გათანაბრებული”, რაც რეალურად პრობლემებს იწვევს.
- **თევზის რესურსებისა და პროდუქტების ბაზრების დივერსიფიკაციის საჭიროება.** დღეს ხდება ქვეყანაში ერთმიმართულებიანი თევზჭერა. იგულისხმება ის, რომ ძირითადად ერთი სახეობის თევზის, ქაფშიას, მოპოვება ხდება. მართალია, ზოგადად, თევზის სახეობების რაოდენობა შემცირებულია, თუმცა, მაინც არის სახეობები, რაზეც პერსპექტიული იქნებოდა თევზჭერა (მაგალითად, შავი ზღვის ქარსალა, ე.წ. „შპროტი“). გემები, რომლებსაც ლიცენზიანტები ქირაობენ, ძირითადად ქაფშიას ჭერაზე არის კონცენტრირებული. ეკონომიკური მომგებიანობის თვალსაზრისით ლიცენზიანტისთვის არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, შპროტს დაიჭერს თუ ქაფშიას, თუმცა, ქვეყანაში დარგის განვითარებისთვის აქვს ამას მნიშვნელობა, რათა დარგი დივერსიფიცირებულად განვითარდეს. იქიდან გამომდინარე, რომ ერთი სახეობის თევზის ჭერა ხდება (იგულისხმება სამრეწველო თევზჭერა და არა სანაპირო თევზჭერა), ბაზარიც ნაკლებად დივერსიფიცირებულია. ქაფშიის ჭერის შედეგად იწარმოება თევზის ფქვილი და თევზის ცხიმი. სასურსათო პროდუქციის წარმოება უნდა იყოს ქვეყნის ინტერესი. კვების პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვისაც და მოსახლეობის ჯანმრთელობისთვისაც.
- **თევზის საკვების ადგილობრივად წარმოება.** მნიშვნელოვანია, ქვეყანაში იწარმოებოდეს უშუალოდ თევზის საკვები. ფქვილი და ცხიმი, რასაც ქართველი ლიცენზიანტები აწარმოებენ ქაფშიასგან, არის კომბინირებული საკვების, მათ შორის, თევზის კომბინირებული საკვების შემადგენელი ნაწილი. დღეს ფქვილის და ცხიმის ექსპორტი ხდება თურქეთში, სადაც აწარმოებენ კომბინირებულ საკვებს და შემდეგ ეს საკვები ბრუნდება საქართველოში იმპორტის სახით. ამგვარად, იზრდება ღირებულებათა ჯაჭვი ქვეყნისთვის, მაშინ როდესაც ადგილზე არის იმის რესურსი,

⁶ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017-2023 წლებში კამბალას მოპოვება ე.წ. 12%-იანი ფლოტის მიერ “თანჭერილის” კატეგორიაში ხდებოდა. მათ მიერ მოპოვებული რესურსის მოცულობა (კგ) წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	2017-2018	2018-2019	2019-2020	2020-2021	2021-2022	2022-2023
კამბალა	619	168	291	382	793	
კამბალა კალკანი						563

(ავტორის შენიშვნა).

⁷ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, “საქართველოსთვის ამ ეტაპზე GFCM-ს აქვს გამოყოფილი კამბალის კვოტა 20 ტონის ფარგლებში. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გეგმავს აღნიშნული კვოტის გამოყენებას სარეწაო თევზჭერისთვის”. (ავტორის შენიშვნა).

რომ, თუ ეკონომიკური დაინტერესება იქნება, თევზის საკვები იწარმოოს საქართველოში.

- **მოძველებული გემების ფლოტი.** ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყნისთვის. საჭიროა მცირე მეთევზეების ფლოტის განახლებაზე ფიქრი. დღესდღეობით 45 გემი⁸ არის ე.წ. კვოტის 12%-იანი მეთევზეების მფლობელობაში და ეს გემები არის მოძველებული, სრულად ამორტიზებული. მათი ოპერირება გარემოსაც აზიანებს და თვითონ გემზე მყოფ ადამიანებსაც საფრთხეს უქმნის. დღეს ამ გემების არსებობა და შენარჩუნება ხდება სოციალური მიზნებით. ამ გემებს ჰყავს თავიანთი ეკიპაჟები, მათ უკან დგას მათი ოჯახები და საბოლოოდ, საკმაოდ დიდია დაინტერესებულ პირთა რიცხვი.

სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის მიმართულება:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტი
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტი
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტი

პასუხების შეჯამება:

რესპონდენტებმა განიხილეს თევზის რესურსებთან დაკავშირებით ხარისხის კონტროლის საკითხები სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის მიმართულებით:

(ა) **სურსათის უვნებლობის მიმართულებით** რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ სურსათის უვნებლობაში საქართველოს კანონმდებლობის 70% ჰარმონიზებულია ევროკავშირის ანალოგიურ კანონმდებლობასთან (ზოგადი და სპეციალური ჰიგიენის მოთხოვნები ცხოველური წარმოშობის სურსათისთვის; დასაშვები ზღვრები მიკრობიოლოგიური პარამეტრების კუთხით; სახელმწიფო მონიტორინგი სურსათის უვნებლობის კუთხით, მაგალითად, ვეტერეპარატების ნარჩენების, ქიმიური კონტამინანტების და სხვა დამაბინძურებლების აღმოჩენა სურსათში).

აკვაკულტურასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიუხედავად [აკვაკულტურის შესახებ კანონის](#) (2020) არსებობისა, ის ჯერ კიდევ არ არის აღსრულების ფაზაში შესული. რესპონდენტი განმარტავს, რომ ამის მთავარი გამომწვევი მიზეზი ბიზნესისა და მკონტროლერების მხრიდან არასაკმარისი მზაობა იყო, რასაც თან ერთვის ლაბორატორიის არასაკმარისი ჩართულობაც. შესაბამისად, საჭირო გახდა აღნიშნული კანონმდებლობის გადავადება. პარალელურად, ევროკავშირმა ახალი კანონმდებლობა დაამტკიცა, რამაც კიდევ უფრო გაართულა არსებული სიტუაცია.

⁸ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, დღესდღეობით საქართველოში შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტებისათვის გამოყოფილი კვოტის 12%-ის მიმღები სუბიექტები ფლობენ 34 გემს და ეს რაოდენობა არ შეცვლილა 2017 წლის შემდეგ (2006-2011 წლებში მათ მფლობელობაში იყო 43 გემი, 2012-2015 წლებში - 45 გემი, 2016 წელს - 33 გემი და 2017 წლიდან დღემდე - 34 გემი). (ავტორის შენიშვნა).

დაახლოებით 6-7 წლის წინ იყო შემთხვევა, რომ ევროკავშირში გარკვეული ბიზნეს-ოპერატორები დაინტერესდნენ ცისარტყელა-კალმახის იმპორტით საქართველოდან. დაახლოებით ბოლო 7 წლის განმავლობაში ყოველ წელს, [22-ე დადგენილების](#) (2016) მიხედვით, 30 ნიმუში იგზავნება რიგის ლაბორატორიაში კვლევისთვის. მაინცდამაინც სახარბიელო შედეგები არ იყო ამ კვლევის შედეგად: გაგზავნილ ნიმუშებში გამოიკვეთა აკრძალული ვეტპრეპარატების გამოყენების შემთხვევები. თუმცა, ძირითადად, პრობლემა საქართველოში არის სათევზე მეურნეობებში საღებავების გამოყენების მიმართულებით და არა ანტიბიოტიკების, ვეტპრეპარატების ნარჩენების კუთხით. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში შედარებით გაუმჯობესდა სიტუაცია. 2023 წელს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც შეუსაბამობა დაფიქსირდა 50%-ში, წინა წლებში ეს მაჩვენებელი 90% იყო. მნიშვნელოვნად გაზრდილია სახელმწიფო დაფინანსება და შესაბამისად, კონტროლის შესაძლებლობები [სააგენტოსთვის](#). შესაბამისად, ნიმუშების აღება შეზღუდული არ არის, თუმცა, ნიმუშების კვლევასთან ერთად მნიშვნელოვანია პირველადი წარმოების დონეზე იმ გამოწვევებთან გამკლავება, რაც შემდეგ იწვევს პრობლემებს სურსათში.

თევზჭერის სექტორში პრობლემატურია ზოგადად ცნობიერებასთან დაკავშირებული საკითხები. პირველადი წარმოებები (აკვაკულტურა, სათევზე-სატბორე მეურნეობები) ძალიან სტიქიურად არის შექმნილი. ერთეული მათგანი იცნობს საქმიანობას, განათლება აქვთ შესაბამისი და ესმით, რას აკეთებენ; უმეტესობაში კი ამ ყველაფრის ნაკლებობაა.

რესპონდენტთა შეფასებით, მიკვლევადობის არსებობა აუცილებელია პირველადი წარმოებიდან ყველა ჯაჭვის გავლით მომხმარებლის სახლამდე. მიკვლევადობის სისტემა იხვეწება, ვითარდება შესაბამისი ელექტრონული ბაზები; თუმცა, ეს არ მოიცავს იმის კვლევას, რამდენად ხდება, მაგალითად, თევზის დაცული სახეობების ან ბრაკონიერული გზით მოპოვებული თევზის წარმოება და შემდეგ გაყიდვა. ამას [გზდ](#) აკონტროლებს დღეს და [სურსათის სააგენტოს](#) როლი აქ არ იკვეთება.

(ბ) ვეტერინარიის მიმართულებით რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქვეყანაში პირველადი წარმოების კონტროლი აუცილებლად უნდა დაწყებულიყო იმით, რომ გაკეთებულიყო ბიზნეს-ოპერატორების რეესტრი. ეს რეესტრი ნაწილობრივ არსებობდა, თუმცა, ზოგი ბიზნესი რეესტრირდებოდა და ზოგი - არა. საქართველოს კანონი [„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“](#) (2012) განსაზღვრავს, რომ ბიზნესოპერატორი ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია [ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში](#)⁹. გეგმიური ინსპექტირებისთვის აუცილებელია, რომ მეწარმე დარეგისტრირებული იყოს აღნიშნულ რეესტრში. არაგეგმიური ინსპექტირებისას ამას მნიშვნელობა არ აქვს - შესაძლოა, მეწარმე არ იყოს დარეგისტრირებული ამ რეესტრში, თუმცა, სააგენტო მაინც ახორციელებს შემოწმებას და დარღვევების შესაბამისად, უწერს საჯარო სანქციებს. თუ ბიზნესები არ იქნებიან ამ რეესტრში დარეგისტრირებული, ჯარიმდებიან; ასევე, ხდება მათთვის საქმიანობის შეჩერება (რეალიზაციის უფლება ეზღუდებათ, თუმცა, თევზის მოვლის კუთხით არ ეზღუდებათ საქმიანობა).

⁹ იგულისხმება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (“საქსტატის”) [მეთოდოლოგია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ \(სეკ\)](#) (2016), რომელიც წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის ევროპულ სტანდარტს ([Statistical classification of economic activities in the European Community/NACE Rev.2](#)) (2008). (ავტორის შენიშვნა).

დიდი დრო დაჭირდა [სააგენტოს](#), რომ აეხსნა ბიზნესებისთვის, რატომ იყო საჭირო, დარეგისტრირებულიყვნენ [ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში](#). ბიზნესების წინასწარგანწყობა იყო ისეთი, რომ პრობლემები შეექმნებოდათ რეგისტრაციის შემთხვევაში. რეგიონალური სამსახურების ჩართულობით, დღეს ეს პრობლემა მეტნაკლებად მოგვარებულია. რეესტრის სრულყოფას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მიღებული [აკვაკულტურის კანონის](#) (2020) შესაბამისად, აკვაკულტურის საქმიანობა მხოლოდ ნებართვით გახდა დაშვებული. ნებართვის აღების ერთ-ერთი წინაპირობა არის ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, აკვაკულტურის შესახებ [ტექნიკური რეგლამენტის](#) (2021) შესაბამისად.

სააგენტომ აქტიური კონტროლი დაიწყო დაახლოებით 2019 წლიდან. პირველი წელი ცნობიერების ამაღლების მიმართულებებს დაეთმო და ბიზნეს-ოპერატორებს უხსნიდნენ, რატომ არ უნდა გამოყენებინათ აკრძალული ნივთიერებები საქმიანობაში. 2019-2020 წლებთან შედარებით, სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია მალაქიტის გამოყენების თვალსაზრისით და [სააგენტოს](#) როლიც მნიშვნელოვანია ამ შედეგებში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში აღმოჩენილ დარღვევებში, თევზში, მალაქიტზე მეტად, მისი გარდაქმნის პროდუქტი (ლეიკომალაქიტი) იყო აღმოჩენილი (ეს იმას ნიშნავს, რომ მალაქიტს აღარ იყენებდნენ/შეზღუდულად იყენებდნენ ბიზნესები, თუმცა, მისი მეტაბოლიტი/გარდაქმნის პროდუქტი ჯერ კიდევ იყო თევზში).

თევზჭერის სექტორში პოლიტიკის აღსრულებისა და კონტროლის მიმართულებით ჩართული სახელმწიფო უწყებები:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახური და შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო)
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

პასუხების შეჯამება:

რესპონდენტებმა განიხილეს თევზჭერის დარგში არსებული გამოწვევები უშუალოდ პოლიტიკის აღსრულებასა და კონტროლთან დაკავშირებით, რის შესაბამისადაც ასევე წარმოადგინეს რიგი გადაწყვეტები დასახელებული პრობლემების მოსაგვარებლად:

- **საზოგადოებაში ცნობიერების დაბალი დონე** დასახელდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად თევზის დაცვისა და თევზჭერის მიმართულებით დღეს საქართველოში. შეუძლებელია, რომ ქვეყანაში შეიქმნას კონტროლის და აღსრულების ისეთი სისტემა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ყველა წერტილში მაკონტროლებელი დადგეს და აღკვეთოს უკანონო ფაქტები. ამიტომ, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მოსახლეობის (მათ შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდების) აქტიურ როლს სახეობების დაცვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

- თევზჭერის დარგში დღეს მნიშვნელოვანი პრობლემებია **კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობის** გამო; თევზდაცვის სექტორში ადამიანური რესურსების ნაკლებობა და არსებული დასაქმებული პერსონალის არაკვალიფიციურობა თვალსაჩინოა. მნიშვნელოვანია, ლიცენზიანტებიც ჩაერთონ და ხელი შეეწყოს ადგილობრივად კადრების გადამზადებას და პროფესიულ განათლებას, რომ დასაქმდეს ადგილობრივი მოსახლეობა.
- საკუთრივ ის ფაქტი, რომ დღეს მეთევზეობის სექტორში არსებობს რეგლამენტი (იგულისხმება [საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №423 თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე](#)) და არა კანონი, იძლევა როგორც დადებით, ისე უარყოფით შედეგებს. ამ საკითხის დადებით მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რეგლამენტში ცვლილებების შეტანა ჯერ კიდევ შესაძლებელია. აღნიშნული ცვლილებები მთავრობის დადგენილებით მიიღება, რაც ამარტივებს ლაფსუსებისა და წინააღმდეგობების გამოსწორების საშუალებას.
- ქვეყნის შიდა წყლებზე ლიცენზირებასთან დაკავშირებული რეგულაციები პრობლემად დასახელდა ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არის მდინარეებისა და ტბების გამოყენების დიდი პოტენციალი, ამით სწორად სარგებლობა არ ხდება. აღინიშნა ის ფაქტი, რომ საქართველოში 26 ათასამდე მდინარე და 856-მდე ტბა/წყალსაცავია¹⁰ (თუნდაც მათი 70% არ იყოს ეკონომიკურად გამოსადეგი, დარჩენილი რიცხვიც კი უდიდესი პოტენციალის მქონეა). დღეს არსებული ამ 856 წყალსაცავიდან მხოლოდ 8-ზე არის გაცემული ლიცენზია¹¹.
- აღინიშნა, რომ შავ ზღვაში თევზჭერის კვოტების დადგენასთან დაკავშირებით უპირველეს პრობლემას წარმოადგენდა მეთოდოლოგიური შეუთანხმებლობები. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზული წინსვლა შეინიშნება, შეძენილია ტექნიკური აღჭურვილობა და მიმდინარეობს მათი გამოყენების დანერგვა შესაბამისი სპეციალისტის მოწვევით. გასულ პერიოდში კვოტებს ადგენდნენ თავად ლიცენზიანტები. დღეს კი კვოტებს ადგენს [სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს](#) აკვაკულტურის დეპარტამენტი ევროკავშირში არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით და [GFCM](#)-თან თანამშრომლობით. მეორე რესპონდენტის მოსაზრებით, დღესაც დაწესებულ კვოტებსა და ფაქტიურ ჭერებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა და ვერ ხდება კვოტების ათვისება¹²; მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდება კვოტის ათვისება და შესაძლოა კვოტირების პრინციპი გადასახედი იყოს.

¹⁰ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში მდინარეებისა და ნაკადულების რაოდენობა არის 26060, ტბების რაოდენობა არის 856 და წყალსაცავებისა და ტბორების რაოდენობა არის 44. სააგენტოს ინფორმაციაზე დაყრდნობით, აღნიშნული მონაცემების წყარო არის ვ. ტრაპაიძის დოკუმენტი "წყლის რესურსები" ([ვაჟა ტრაპაიძე \(2012\). „წყლის რესურსები“. სასწავლო კურსი](#)). (ავტორის შენიშვნა).

¹¹ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს შიდა წყლებში თევზჭერის ლიცენზიანტების რაოდენობა არის 7 (ეს რაოდენობა 2016 წლის შემდეგ არ შეცვლილა). (ავტორის შენიშვნა).

¹² მოცემულ პერიოდში თევზჭერის კვოტის ათვისების მაჩვენებელს ასახავს მოპოვებული თევზის რესურსებსა („ჭერილი“) და დაწესებულ კვოტას შორის ფარდობა (%). სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ

- შავ ზღვაში ლიცენზირების სისტემასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება/განხილვა მოკლევადიანი ლიცენზიების გაცემაზე. მოქმედ ლიცენზიებს ვადა აქვთ ორჯერ გაგრძელებული და არ არის გამორიცხული, რომ კიდევ მიიღოს [სააგენტომ](#) ლიცენზიანტებისგან მიმართვა ვადის გაგრძელებაზე. ამის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია ევროპული პრაქტიკის გაზიარება.
- აღინიშნა, რომ ნავთსაყუდელის (ნავმისადგომის) არარსებობა არის დღეს საქართველოში მეთევზეებისთვის ძირითადი პრობლემა. დღესდღეობით დაახლოებით 28 ერთეული საზღვაო სატრანსპორტო საშუალება (პატარებიც, დიდებიც) არის საქართველოს მეთევზეების მფლობელობაში და ისინი არსებულ ნავმისადგომებში განლაგებულია ძალიან მჭიდროდ. მდინარეზე ნავიგაციის კანონმდებლობა ჯერჯერობით არ არსებობს, თუმცა, მიმდინარეობს მუშაობა ამაზეც. ძირითადი რეგულაციები (საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO), ევროკავშირის) ჯერ არ არის ქვეყანაში დანერგილი, თუმცა, მოსალოდნელია, რომ მათი მიღება მაინც მოხდება და ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყება.
- აღინიშნა, რომ მომავალში მოსალოდნელია გარკვეული ინტერაქცია შავ ზღვაში აკვაკულტურის ფერმებსა და მეთევზეებს შორის, ვინაიდან სამოქმედო სივრცეები გარკვეულწილად შეიზღუდება მას შემდეგ, რაც აკვაკულტურის საქმიანობა დაიწყება. მოსალოდნელ გამოწვევებზე საპასუხოდ, აუცილებელი იქნება კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება.
- სანაპირო თევზჭერასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღინიშნა, რომ ეს მიმართულება დღეს თითქმის დაურეგულირებელია. სანაპირო თევზჭერით დაკავებული სუბიექტები ძირითადად არ არიან რეგისტრირებული და მნიშვნელოვანია მათი აღრიცხვა, გამოყენებული საჭერი საშუალებების რეგისტრაცია და დაჭერილი თევზის მოცულობის აღრიცხვა.
- მაკონტროლებელი უწყების წარმომადგენლების მიერ აღინიშნა, რომ დღეს თევზდაცვის სექტორში კონტროლის მექანიზმები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. რეალურ ჭერებთან დაკავშირებით მონაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. აღრიცხვის ელექტრონული სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ხდება მონაცემთა აგრეგირება და დროში მონიტორინგი. კონტროლის მექანიზმებმა (ონლაინ ვიდეო მონიტორინგი) მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოსდაცვითი საფრთხეები. აღინიშნა ასევე, რომ სასაზღვრო პოლიციის აქტიური ჩართულობა და კოორდინირებული მუშაობა უზრუნველყოფს კონტროლის ეფექტურ განხორციელებას. ეროვნული პარკების ადმინისტრაციის აქტიურმა ჩართვამ კონტროლის პროცესში მნიშვნელოვნად შეამცირა გარემოსდაცვითი დარღვევები. დამატებით, ასევე ხაზი

მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში შავ ზღვაში კვოტის ათვისების მაჩვენებელი (%) 2006-2023 წლებში წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
28%	41%	48%	62%	34%	14%	91%	81%	74%	67%	52%	86%	36%	71%	66%	66%	62%

(ავტორის შენიშვნა).

გაესვა იმას, რომ აუცილებელია, აღიკვეთოს უკანონო, არარეგულირებული თევზჭერა.

- ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, ამჟამად ქვეყანაში არსებული სტატისტიკით რთულია, დარწმუნებით ითქვას, რომ **ბრაკონიერების შემთხვევები** გაზრდილია. პირიქით, 2020 წლიდან დანერგილია სხვადასხვა თანამედროვე გზები არალეგალური თევზჭერის პრევენციისთვის, როგორცაა, მაგალითად, ფოტოხაფანგები. შესაბამისად, უფრო ლოგიკურია, სტატისტიკა მზარდი იყოს შემთხვევების გამოვლენის მაჩვენებლის ზრდით და არა თავად ბრაკონიერების შემთხვევების სიხშირით.
- **სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმებთან** დაკავშირებით აღინიშნა, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ საწყის ეტაპზე ფერმების დაარსება, მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, შემდეგ როგორ ვითარდებიან ეს მეურნეობები. დამატებით აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს ქვეყანაში ისეთი პერსპექტიული დარგის განვითარებაზე, როგორცაა სათევზაო ტურიზმი. სათევზაო ტურიზმით, გოლფის მსგავსად, ინტერესდებიან მაღალშემოსავლიანი ადამიანები და შესაბამისად, ამ მიმართულების განვითარება უფრო მაღალ ტურისტულ შემოსავლებსაც გულისხმობს ქვეყნისთვის.

თევზჭერის სექტორში პროექტების მხარდაჭერისა და დაფინანსების მიმართულებით ჩართული სახელმწიფო უწყებები:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „აწარმოე საქართველოში“

პასუხების შეჯამება:

დღესდღეობით მეთევზეობის დარგში პროექტები ფინანსდება, ძირითადად, ორი სახელმწიფო უწყების მიერ: [ა\(ა\)იპ სოფლის განვითარების სააგენტო](#) და [სსიპ „აწარმოე საქართველოში“](#). აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს მეთევზეობის სექტორში დაფინანსებული პროექტების სპეციფიკა, არსებული გამოწვევები და პროექტების წარმატების შეფასების პრაქტიკა თავიანთ ორგანიზაციებში.

(1) [ა\(ა\)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში](#) მეთევზეობის დარგში პროექტები ფინანსდება „მეცხოველეობის“ მიმართულების ქვეშ.

პროექტების მონიტორინგისა და შეფასების სქემა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა, ამ ეტაპზე [სააგენტო](#) არ აკეთებს მსგავს შეფასებებს, რომელიც გააანალიზებდა, რამდენად წარმატებული იყო უკვე დაფინანსებული პროექტები. თუმცა, [სააგენტოს](#) აქვს ბენეფიციარების მონიტორინგის სამსახური, რომლის ფუნქციაც უკავშირდება უშუალოდ ბენეფიციარებთან კომუნიკაციას, რომ შემოწმდეს, რამდენად მიმდინარეობს დაფინანსებული პროექტი თავისი მიზნობრიობით, საქმიანობას ხომ არ შეეცვალა სახე (დათქმა აქვს დაფინანსებულ პროექტებს, რომ მომავალი 5-7 წლის განმავლობაში საქმიანობის სახე არ უნდა შეიცვალოს), შეძენილი ტექნიკა ხომ არ გაყიდა ბენეფიციარმა და ა.შ. აღინიშნა ის, რომ უკვე საკმარისად დიდი დრო (10 წელზე მეტი) არის გასული, რაც [სააგენტო](#) ქვეყანაში პროექტებს ახორციელებს და შეიძლება ითქვას, დაფინანსებული

პროექტები უკვე არის იმ ეტაპზე, რომ მათი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება გაკეთდეს და შედეგები გაანალიზდეს (სავარაუდოდ, გარე ექსპერტების ან/და დონორი ორგანიზაციების ჩართულობით).

(2) სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზაციამ თევზჭერის მიმართულებით რამდენიმე პროექტი დააფინანსა. ამ პროექტების ბენეფიციარები გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგნენ მიღებული დაფინანსების შემდეგ: (ა) თევზსაჭერი გემების შეძენა მოხდა ერთი მომწოდებლისაგან (ერთი გემთმშენებელი კომპანიისგან) და არ მოხდა მომწოდებელთა დივერსიფიკაცია. (ბ) არალიცენზიანტ მცირე კომპანიებს არ აქვთ გემის გასაჩერებელი ადგილები და მათ უწევთ ლიცენზიანტების სადგომზე გაჩერება, რაც მათი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი შემავერხებელი ფაქტორია; (გ) სეზონის ჩავარდნა - ორი წლის წინ თევზსაჭერ კომპანიებს სეზონი ჩაუვარდათ, რაც, თავისთავად გავლენას ახდენს მათ ფინანსურ მდგომარეობაზეც.

ორგანიზაციის მხრიდან დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი ხდება იმ კუთხით, თუ რამდენად ასრულებს ეს პროექტები თავიანთ მიზნობრიობას. დაფინანსების ვალდებულებებში არის გაწერილი ბენეფიციარებისთვის, რომ სესხის გაცემის მთლიანი პერიოდის განმავლობაში უნდა შენარჩუნდეს საქმიანობის პროფილი. მას შემდეგ, რაც ეს ვალდებულება ამოიწურება, ორგანიზაციას აღარ აქვს ინფორმაცია ბენეფიციარი საწარმოს შესახებ (მაგალითად, გაცემული დაფინანსებით ნაყიდი გემი შეიძლება გაყიდოს კიდევ ბენეფიციარმა ამ ვადის ამოწურვის შემდეგ). რაც შეეხება პროექტების შეფასებას დაფინანსების გაცემამდე (წინასწარი შეფასება), ეს როლი მთლიანად იმ კომერციულ ბანკებსა და სალიზინგო დაწესებულებებზე არის გადაწარმოებული, რომლებიც გასცემენ სესხს. პროექტში მონაწილეობისას, ბენეფიციარები თავად მიდიან შესაბამის ბანკებსა და სალიზინგო კომპანიებში და იქ კეთდება აღნიშნული ბენეფიციარების პროექტების მომგებიანობის ანალიზი. ზოგჯერ არის ისეთი შემთხვევებიც, რომ მიუხედავად წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის (მოგება-ზარალის ანალიზი, ბალანსის ანალიზი და ა.შ.) გამართულობისა, პირს შესაძლოა სესხზე უარი ეთქვას იმის გამო, რომ მას არ აქვს საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გამოცდილება და არ არის მოსალოდნელი, რომ იგი წარმატებით განახორციელებს პროექტს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

პასუხების შეჯამება:

საქართველოს ზღვისპირა მხარეების (აჭარა, სამეგრელო და გურია) წარმომადგენლებმა განიხილეს თევზჭერასთან დაკავშირებით არსებული სიტუაცია რეგიონებში, პრობლემები და მათი მოგვარების გზები:

- რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ 1990-იან წლებში მოსახლეობა თვითგადარჩენის მიზნით მასიურად მისდევდა თევზჭერას და ზოგი თევზის სახეობაც გადაშენდა მუნიციპალიტეტებში. მაშინ ხდებოდა ე.წ. ელექტრომოკუური აპარატებით თევზჭერაც, რაც არა მხოლოდ თევზის რესურსს კლავდა, არამედ გადარჩენილ

თევზებს აინვალიდებდა და აზიანებდა, გადარჩენილი რესურსი ვეღარც იზრდებოდა და ვერც მრავლდებოდა. ბოლო პერიოდში ეროვნული პარკის ადმინისტრაციები შეიქმნა და მოსახლეობის ცოდნაც გაიზარდა. ამჟამად, თუ ელექტრომოკური აპარატებით მოხდა თევზჭერა და კანონდარღვევა დაფიქსირდა, უკვე მოსახლეობა თვითონ აძლევს შენიშვნას თანამოქალაქეს.

- *ადგილობრივი თვითმმართველობა თევზჭერის სფეროში ჩართულია, ძირითადად, იმ გზით, რომ მოსახლეობის ინფორმირება ხდება თევზჭერის წესებთან დაკავშირებით (თევზჭერისთვის დაშვებული დრო წლის განმავლობაში, დაშვებული ბადე-იარაღები, ჭერისთვის დაშვებული თევზის სახეობები და ა.შ.). მუნიციპალიტეტის მმართველობის როლი იკვეთება იმ მიმართულებითაც, რომ ჰქონდეს კომუნიკაცია ბიზნესებთან (როგორც მცირე, ასევე დიდ საწარმოებთან) და უშუამდგომლოს ბიზნესებს შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან, თუ ამის საჭიროება დადგა. მუნიციპალური პროგრამები დღეს არ არის თევზჭერის განვითარების მიმართულებით, თუმცა, არის გარკვეული მხარდაჭერის ფორმები (მაგალითად, ფესტივალის მოწყობა).*
- *აღინიშნა, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით მუნიციპალიტეტს შეუძლია ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის. დარგში ცოდნის ამაღლება არის მნიშვნელოვანი მდგრადი მეთევზეობისთვის როგორც უშუალოდ მოსახლეობის დონეზე, ასევე მეთევზეებისა და სათევზე მეურნეობებისთვის და სამეცნიერო წრისთვისაც.*
- *რეგულაციები და კანონმდებლობა აუცილებელია იმისათვის, რომ მოხდეს ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოება და არც მეთევზეობა არის გამონაკლისი და ეს დარგიც უნდა დაექვემდებაროს სათანადო რეგულაციებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს შემცირებულია უკანონო თევზჭერა, მაინც არის დარღვევების შემთხვევები და ამის კონტროლი საჭიროებს გამკაცრებას (საკანონმდებლო ბაზა მეტნაკლებად მოწესრიგებულია, მაგრამ აღსრულების კუთხით მექანიზმები არის შესაძლებელი, რომ მთლიანად აღმოიფხვრას ეს პრობლემა).*
- *კლიმატის ცვლილების ფონზე, გაიზარდა სხვადასხვა სტიქიური მოვლენების რიცხვი რეგიონებში და აქედან გამომდინარე, სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებებს ექნება დიდი მნიშვნელობა მომავალში. მეთევზეებს უჭირთ ამ პრობლემებთან გამკლავება საკუთარი რესურსებით.*
- *ბოლო პერიოდში გაზრდილია თევზის დაავადებების რიცხვი. ამ პრობლემასთან გასამკლავებლად, აუცილებელია თევზსაშენ მეურნეობებში მოხდეს იმ პარამეტრების (წყლის ხარისხი, ჟანგბადის მიწოდება, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები) კონტროლი, რაც მნიშვნელოვანია თევზის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის.*
- *ბიზნეს-საქმიანობის კუთხით პოტენციალი არის მუნიციპალიტეტებში და მეურნეობები არსებობს. თუმცა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბიზნესებს დიდი დაინტერესება უშუალოდ თევზჭერის მიმართულებით არ აქვთ. დარგში ბიზნესების ზრდის ტენდენცია, ძირითადად სტაბილურია და არ არის მზარდი. დღეს მეთევზეობით, როგორც ეკონომიკური საქმიანობით, მოსახლეობა ნაკლებად დაინტერესებულია. როგორც აღინიშნა, დიდ თანხებთან არის დაკავშირებული ამ საქმიანობის დაწყება. გარდა ამისა, მეთევზეობა მნიშვნელოვან ჯანმრთელობის პრობლემებთანაც არის დაკავშირებული (თევზჭერა მთელი დღე წყალში დგომას*

მოითხოვს ზოგჯერ). დღეს, ძირითადად, სპორტული და გართობის, სამოყვარულო მიზნებისთვის ხდება თევზჭერა.

- მეთევზეობის მიმართულებით დღეს მუნიციპალიტეტებში, ძირითადად, არის განვითარებული კერძო ტბორები. თუმცა, დიდი პრობლემა არის ზაფხულში წყლის მიწოდება. ეს მიმართულება არის დღეს მოსაგვარებელი - წყლის მიწოდების სისტემა უნდა გაუმჯობესდეს¹³. ასევე, დღესდღეობით რისი გაკეთებაც მნიშვნელოვანია თევზჭერის მიმართულებით სიტუაციის გამოსწორებისთვის მუნიციპალიტეტებში, ეს არის მდინარეების გაწმენდა და შემდეგ მათი დათევზიანება.
- თევზსაშენ მეურნეობებში წარმოებული თევზის სახეობებში, ძირითადად, არის ამერიკული ცისარტყელა კალმახი (80% მას უკავია), არის კიდევ ციმბირული ზუთხი და სხვა სახეობები. მდგრადი განვითარების მიზნით, კარგი იქნება, რომ თევზსაშენმა მეურნეობებმა მოსაშენებელი თევზის რესურსის დივერსიფიცირებისკენ მიმართონ თავისი ქმედებები და რეგიონში გავრცელებული თევზის სახეობების გამრავლებასაც მიაქციონ ყურადღება.
- პრობლემურია გადამამუშავებელი წარმოება და სამაცივრე მეურნეობები. ბიზნესის კუთხით თევზჭერის საქმიანობა მუნიციპალიტეტში, ძირითადად, აქტიურდება ზაფხულის საკურორტო სეზონზე. სეზონზე მაღალია ტურისტული ნაკადი და თევზზე მოთხოვნა დიდია, თუმცა, შემდგომში როდესაც ეს პერიოდი გადაივლის, მიზანშეწონილი იქნება, თუ თევზსაშენ მეურნეობებს ექნებათ შესაბამისი სამაცივრე მეურნეობები და შესაბამისი ლოგისტიკური უზრუნველყოფა, სადაც შეძლებენ პროდუქციის შენახვას და ბაზარზე სტაბილურად მიწოდებას სხვა პერიოდშიც.
- მოსაწესრიგებელია დღესდღეობით თევზის, როგორც სასურსათო პროდუქტის ბაზარზე გაყიდვის საკითხი. დღეს მუნიციპალიტეტში სანაპირო ზოლებზე შეიძლება იყიდებოდეს თევზი, რომელიც არის 10-12 დღის. რთული სიტუაციაა ამ

¹³ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით შპს საქართველოს მელიორაცია აღნიშნავს შემდეგს: „2023 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მიერ დამტკიცებულ იქნა „საირიგაციო წყლის მიწოდების წესების“ შესახებ N39 დადგენილება. აღნიშნული წესების შესაბამისად, იდენტიფიცირებულა მომხმარებელთა ორი კატეგორია: პროფილური მომხმარებელი (საირიგაციო მიზნით წყლის მომხმარებელი) და არაპროფილური მომხმარებელი (თევზის მეურნეობა, ჰიდროელექტროსადგურები, საწარმოო დანიშნულებით წყლის მიძღები და ა.შ.). „სემეკის“ დადგენილებაში დეტალურად არის განსაზღვრული პროფილური მომხმარებლის უპირატესობები, რომლის მიხედვითაც პროფილური მომხმარებელი, ინდივიდუალური წყალსარგებლობის განრიგის შეთანხმებისას, სარგებლობს მთელი რიგი უპირატესობებით არაპროფილურ მომხმარებლებთან შედარებით. კერძოდ, წესების მიხედვით, მომდევნო კალენდარული წლისთვის წყლის მიწოდების რეჟიმის პროექტი შპს „საქართველოს მელიორაცია“ უნდა განათავსოს საჯაროდ არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1-ელი ნოემბრისა, რომელიც უნდა დამტკიცდეს არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული წლის 1-ელი თებერვლისა. წყლის მიწოდების რეჟიმის დამტკიცების შემდგომ ხდება წყალსარგებლობის გეგმის ინდივიდუალურად შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, სამელიორაციო სისტემაში არსებული წყლის ათვისებაზე, პირველი თებერვლიდან პირველ მარტამდე, უპირატესობა ენიჭება პროფილურ მომხმარებელს, ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდგომ, წყალმომარაგებაში არსებული წყლის ათვისებადი მოცულობის ათვისება ხდება თანაბარი პირობით, ყველა სახის მომხმარებლის მიერ. აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, არსებობს იმის თეორიული შესაძლებლობა, რომ საირიგაციო მიზნით ფერმერების მიერ წყლის სრულად ათვისების შემთხვევაში, თევზის მეურნეობებისთვის არ დარჩეს წყლის ათვისებადი მოცულობა.“ (ავტორის შენიშვნა).

კუთხით (გარე ვაჭრობის კუთხით) მუნიციპალიტეტებში. ასევე აღინიშნა, რომ აუცილებელია, არსებობდეს თევზის წარმოშობის რამე დოკუმენტი, სადაც მიეთითება, რამდენად კანონიერად არის ეს თევზი მოპოვებული.

- თევზის საკვების საწარმოების სიმცირე რეგიონებში და ფერმერებს ხშირად ექმნებათ პრობლემები თევზის საკვებსა და მის ხარისხთან დაკავშირებით.
- არის გამოწვევები თევზის გამრავლების მიმართულებით, თუმცა, დადებითი ფაქტორია ის, რომ ამ კუთხით უკვე რამდენიმე ასოციაცია მუშაობს რეგიონში; არის მეურნეობები, სადაც ხდება ხარისხიანი ლიფსიტის წარმოება და შემდეგ მისი მიწოდება თევზსაშენი მეურნეობებისთვის.
- რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მომავალში *სასურველია მცირე მეთევზე მეწარმეების გაძლიერება*, რომ მათზე რეგულაციების გავლენა შემსუბუქდეს.

საერთაშორისო ორგანიზაციები

ორგანიზაცი(ებ)ის დასახელება:

- შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida)
- ცენტრალური აზიისა და კავკასიის მეთევზეობისა და აკვაკულტურის რეგიონალური კომისია (CACFish)
- ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისია (GFCM)

პასუხების შეჯამება:

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს თევზჭერის მიმართულებით არსებული რიგი გლობალური გამოწვევები და რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უშუალოდ საქართველოსთვის.

აღინიშნა, რომ მეთევზეობის კუთხით კავკასიის ყველა ქვეყანაში არის დიდი პოტენციალი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნების უმეტესობას არ აქვს **საკმარისი ცოდნა და უნარები**. არსებობს დარგის ექსპერტების კუთხით გამოწვევები საქართველოშიც. არ არის ექსპერტიზა სექტორში ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად (მაგალითად, მარაგების შეფასება, მონაცემთა წარმოება და ა.შ.). სამომავლოდ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ განაგრძოს მოძიება/გაძლიერება შიდა ექსპერტებისა, რომლებიც შეძლებენ, ჩაერთონ ქვეყანაში განხორციელებულ სხვადასხვა პროცესებში აკვაკულტურისა და თევზჭერის მიმართულებით.

დაურეგულირებელი და უკანონო საქმიანობა სახელმწიფოსთვის საზიანოა. ეს არის საქმიანობა, საიდანაც რამე გადასახადის და სარგებლის გენერირება არ ხდება. ბევრი ქვეყანა კარგავს მეთევზეებს, რადგან ისინი მომავალში ვერ ხედავენ თავიანთ პროფესიას. ასე რომ, ძალიან მნიშვნელოვანია სწორი მიდგომა, ადეკვატური რეგულაციები, რომ ხელი შეეწყოს ამ სექტორის განვითარებას და უფრო მიმზიდველი გახდეს ის ახალი თაობისთვის.

ქვეყნების უმეტესობაში პრობლემებია **თევზის რესურსების მონიტორინგის** კუთხით; გაცილებით მეტი უნდა გაკეთდეს **თევზის რესურსის მარაგების შეფასებაზე**; ქვეყნებში არ არის **რეგულარული კვლევები მარაგებზე** (ეს ეხება საქართველოსაც). აღინიშნა, რომ საქართველოში ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა მეთევზეობის სექტორში **მონაცემთა ბაზა/რეესტრი (fisheries fleet registry)** (განსაკუთრებით მცირე მასშტაბის მეთევზეობის მიმართულებით), რომელიც გადამწყვეტი საკითხია მეთევზეობის შესახებ ზუსტი მონაცემების შეგროვებისა და მეთევზეობის საქმიანობის უკეთესი მართვისთვის. ამჟამად

ტრადიციული (მცირემასშტაბიანი) თევზჭერის საქმიანობა კარგად არ არის რეგულირებული, არის ინფორმაციის ნაკლებობა ამ სექტორში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის, თევზის ჭერების შესახებ და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მოთხოვნები რამე სახის ნებართვების შესახებ მცირემასშტაბიანი მეთევზეებისთვის, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია ამ მცირემასშტაბიანი ჭერების შესახებ და ეს დიდი გამოწვევაა. ინფორმაციის გარეშე ძალიან რთულია მეთევზეობის სექტორის ამ ნაწილის მართვა. რესპონდენტის შეფასებით, ზოგიერთი სავლელე სამუშაოების შედეგები აჩვენებს, რომ სექტორის მნიშვნელობა მცირდება, ვინაიდან შეიმჩნევა, რომ მეთევზეების უმეტესობა არის ასაკოვანი და ახალგაზრდა თაობა ნაკლებად ინტერესდება ამ საქმიანობით.

აღინიშნა, რომ **არც საქართველოს აკვაკულტურაზე არსებობს ზუსტი მონაცემები.** იმისათვის, რომ აკვაკულტურის დაფინანსებაში ჩაერთოს სხვადასხვა დონორი ორგანიზაცია, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იყოს აქტიური და წარმოადგინოს მონაცემები აკვაკულტურაზე, რათა გამოჩნდეს სექტორის მნიშვნელობა და დონორული დაფინანსების მოზიდვა მოხდეს ამ მიმართულებით. საქართველოს საზღვაო წყლებში აკვაკულტურის წარმოების გაზრდის დიდი პოტენციალი არსებობს და მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ გამოიყენოს ეს პოტენციალი და შექმნას სამუშაო ადგილები სანაპირო ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახებისთვის.

ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, მსოფლიოს ქვეყნებში მეთევზეობის დარგში **ბიზნესის მონოპოლიის რისკი** არსებობს; თავიდან შეიძლება ბევრი მცირე ზომის კომპანია იყოს ბაზარზე და შემდეგ რამდენიმე კომპანია იწყებს დომინირებას და ეს ძალიან დამახასიათებელია უმეტეს ქვეყნებში. კარგი ისაა, რომ საქართველოში დარგობრივი ქსელი კარგად არის განვითარებული, ასოციაციები ძალიან აქტიურობენ თევზჭერის მართვის პროცესში.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში დაჭერილი **ქაფშიის დიდი ნაწილიდან ხდება თევზის საკვების წარმოება.** მიუხედავად იმისა, რომ ეს სასარგებლო და მნიშვნელოვანია, არსებობს FAO-ს ზოგადი წინადადება, რომ ქვეყნები ეცადონ, გაზარდონ თევზის პროდუქტების პირდაპირი მოხმარება ადამიანების მიერ, ვინაიდან ეს ზრდის რესურსის ღირებულებას. ქაფშიას პოტენციური დამატებითი ღირებულება ძალიან დიდია. რესპონდენტის შეფასებით, საქართველოში ჯერჯერობით **თევზჭერა ეკონომიკის დარგად ვერ იქცა.** მეტნაკლებად წარმატებით ხდება საქმიანობა შავ ზღვაში, ე.წ. დიდ ლიგენზიანტებთან. მათი საქმიანობა, უმეტესად, ექსპორტზე არის ორიენტირებული. მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გადამუშავება ხდება ქარხანაში და შემდეგ გადის ქვეყნის გარეთ. დანარჩენ თევზჭერას რაც შეეხება (თევზჭერა შიდაწყლებზე, ტბორებზე, მდინარეებზე), ესენი უფრო სოციალური ხასიათისაა საქართველოში და ეკონომიკურად ჯერჯერობით ვერ განვითარდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის პოტენციალი არის. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რეალურად რა უშლის ხელს იმას, რომ ეს სექტორი ეკონომიკურად განვითარდეს.

დამატებით, აღინიშნა ასევე, რომ **თევზის დაავადებებიც** პრობლემური საკითხია და **კლიმატის ცვლილებაც** გლობალური გამოწვევაა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა ქვეყანაზე, მათ შორის, საქართველოზე. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, საჭიროა, ქვეყანაში განვითარდეს შესაბამისი ტექნოლოგიები - კლიმატის მიმართ ჭკვიანი ტექნოლოგიები (climate-smart-technologies) და წყლის მიმართ ჭკვიანი ტექნოლოგიები (water-smart-technologies).

გაერთიანებები და არასამთავრობო ორგანიზაციები

ორგანიზაცი(ებ)ის დასახელება:

- ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“
- საქართველოს ტივტივით სპორტული თევზჭერის ეროვნული ფედერაცია
- M.A.P - მოძრაობა ბრაკონიერობის წინააღმდეგ

პასუხების შეჯამება:

თევზჭერის მიმართულებით გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს დარგში არსებული სიტუაცია, გამოწვევები და წარმოდგინეს დარგის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტის გზები:

- აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, არსებობდეს ქვეყანაში **თევზის მრავალსახეობა** მდინარეში, ტბასა თუ წყალსაცავებში. ამ კუთხით, დღეს ქვეყანაში მდგომარეობა არის სავალალო; წყლებში სულ რამდენიმე სახეობის თევზია დარჩენილი. ეს კი ბევრ პრობლემას იწვევს. მაგალითად, სპორტული მიზნით საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისთვის მხოლოდ 1-2 თევზის სახეობაზე თევზჭერის გამოცდილება არ არის საკმარისი, უნდა შეისწავლო სხვადასხვა თევზი, მათი ფერი და სტრუქტურა, ამა თუ იმ ამინდში და ამა თუ იმ წყალსაცავში მათი ქცევა და ა.შ. არსებული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს შორის სახელდება, მაგალითად, (ა) ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გამო წარსულში მომრავლებული ბრაკონიერობის შემთხვევები; (ბ) ცვლილებები ეკოსისტემაში და ზოგადი ეკოლოგიური დეგრადაცია (მაგალითად, ბაზალეთისა და გლდანის ტბები ჭაობდება); (გ) გათევზიანება წყალსაცავებში, რომლებიც არ ხდება იხტიოლოგების ჩართულობითა და მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით; (დ) სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და აღსრულების სისტემის არაეფექტიანობა. კერძო წყალსაცავებზე თევზის რესურსის შემთხვევაში სიტუაციას განსხვავებულად აფასებს რესპონდენტი. გარკვეულ კერძო წყალსაცავებსა თუ ტბებზე (მაგალითად, კუმისის ტბა) არის ძალიან ცუდი მდგომარეობა, თუმცა, სხვა შემთხვევაში (მაგალითად, ნადარბაზევის ტბა) სიტუაცია მნიშვნელოვნად დადებითად ფასდება.
- ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში წყალსატევებში თევზთა რაოდენობის **მონიტორინგი და სტატისტიკური მონაცემების** შედგენა არ მიმდინარეობს. წითელ ნუსხაში შეტანილი თევზთა სახეობების რაოდენობა მხოლოდ 8-ს შეადგენს¹⁴, ძალიან ბევრი სახეობა კი უკვე გადაშენებულია.

¹⁴ გასათვალისწინებელია შემდეგი:

- საქართველოს მთავრობის 190-ე დადგენილების მიხედვით საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ (20/02/2014), საქართველოს წითელ ნუსხაში არის სულ 15 სახეობის თევზი (“საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა”). აღნიშნულიდან 6 მათგანი ეკუთვნის ხრტილოვან თევზებს, 5 - ძვლოვან თევზებს და 4 წარმოდგენს ძვლოვანი თევზების ქვესახეობებს. გარდა ამისა, საქართველოს წითელ ნუსხაში ასევე წარმოდგენილია კიბოსნაირების 2 სახეობა და მოლუსკების 1 სახეობა.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2256983?publication=0>

- ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მონაცემებით (ვებ-გვერდზე წვდომის თარიღი: აპრილი, 2024), საქართველოში საფრთხის ქვეშ მყოფ სახეობებს შორის თევზების რაოდენობა არის 13 და მოლუსკების - 4.

<https://www.iucnredlist.org/statistics>

განხილულია შესაბამისი კვლევების ჩატარების აუცილებლობა, რათა სწორედ გადაშენების პირას მყოფი თევზის სახეობების იდენტიფიცირება მოხდეს. აღნიშნული კვლევების ჩასატარებლად კი გამოყოფილი ფინანსები არასაკმარისია.

- რესპონდენტი **ბრაკონიერობასთან** დაკავშირებით არსებულ პრობლემათაგან გამოყოფს რამდენიმე ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორებიცაა: ელექტრომოკური აპარატით, ასაფეთქებელი და მომწამვლელი ნივთიერებებით თევზჭერა; არაბიოდეგრადირებადი სახლართი ბადეებითა და ანკესზე მიბმადი სახლართი ბადეებით თევზაობა. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით თევზჭერის დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა, რესპონდენტის შეფასებით, წელიწადში 40000-ს აღემატება¹⁵, რაც ძალიან დიდი მაჩვენებელია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ შემთხვევათა უმეტესობა გამიზნული იყო არა პირადი მოხმარებისთვის, არამედ ბაზარზე რეალიზაციის მიზნით.
- აღინიშნა, რომ კარგი იქნება **სახელმწიფო ინტერესი მეთევზეობის მიმართულებით გაიზარდოს დაფინანსების თუ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების სახით**, ასევე ტურისტული მიმართულების განვითარების სახით. თევზაობის, როგორც სპორტის სახეობის განვითარება უნდა მოხდეს სკოლის ასაკიდანვე. მნიშვნელოვანია თევზის რესურსების დაცვის საკითხების გაცნობიერება განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, უშუალოდ მუნიციპალიტეტის დონეზე, სადაც არის თევზების მოპოვების არეალი. იმ ადამიანებმა კი, ვინც დღეს მისდევენ თევზაობას, უნდა გააცნობიერონ, რომ არ შეიძლება აკრძალული ელექტროაპარატებითა და ბადეებით თევზაობა. სპორტული სტილით მეთევზეებსაც უნდა აეხსნათ, რომ თუ დღეს 10 დაჭერილი თევზიდან 5 უკან არ დაბრუნდება, მომავალ წელს შეიძლება ის 10-იც აღარ დარჩეს ადგილზე.
- როგორც წესი, **ადგილობრივი მოსახლეობა** ნაკლებად ითვისებს მდგრადობის საკითხებს და წინა პლანზე ვაჭრობისგან მიღებული სარგებელი დგება. თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, თევზჭერის საკითხის მიმართ მოსახლეობაში ხედვები გაუმჯობესებულია და აკრძალული გზებით თევზჭერა აღარ მიმდინარეობს. პირიქით, არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანები საკუთარი კეთილი ნებით ეწევიან გათევზიანებას იმ ტერიტორიებზე, სადაც ბრაკონიერებისგან დაცული იქნება თევზთა გამრავლების პროცესი.
- **ინვაზიური სახეობების** გავრცელება საქართველოში მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო საკითხად, რომელიც შესაძლებელია ბევრად დამაზარალებელი აღმოჩნდეს, ვიდრე უკანონო თევზჭერის საკითხი.
- აღინიშნა, რომ პრობლემად რჩება ქვეყანაში **იხტიოპათოლოგიის დარგის ნაკლებად განვითარება და შესაბამისი სპეციალისტთა არარსებობა**, ლაბორატორიულ კვლევებსა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა. თუმცა, იხტიოპათოლოგიის არარსებობა ყველაზე მძაფრად არის შეფასებული, რადგან სწორედ იხტიოპათოლოგი არის პასუხისმგებელი პრობლემების იდენტიფიცირებასა და შეფასებაზე. აღნიშნულ საკითხებს ფერმერები ვერ მოაგვარებენ.

(ავტორის შენიშვნა).

¹⁵ მონაცემების დაზუსტებასთან დაკავშირებით ინტერვიუერის კითხვის პასუხად, ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატისტიკის წარმოება და მონაცემების ორგანიზებულად აღრიცხვა შესაბამისი პერიოდულობით (თვიურად, წლიურად და ა.შ.) ჯერჯერობით ორგანიზაციაში არ ხდება და ეს რიცხვი არის მისი მიახლოებითი შეფასება. (ავტორის შენიშვნა).

- ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, [აკვაკულტურის შესახებ კანონის \(2020\) სწორად აღსრულებისა და დახვეწის](#) შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყანაში დადებითი შედეგების მიღება. უპირველესია, რესურსების სწორად განაწილებისა და გამოყენების სქემის შექმნა. რესპონდენტი ყველაზე პოზიტიურად არის განწყობილი შავ ზღვაში აკვაკულტურის ზონირების ცვლილებების მიმართ. მისი შეფასებით, ეს დიდი ბიძგი უნდა იყოს ადგილობრივი პროდუქტის წარმოებისთვის. მწარმოებელთა აბსოლუტური უმრავლესობა დამოკიდებულია ტურისტულ სეზონზე, ზაფხულზე, როდესაც გაყიდვების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება.
- პრობლემატურია ქვეყანაში **თევზის საკვების წარმოების** საკითხი, რომელიც საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების მზაობა არსებობს, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი გასათვალისწინებელი ამ ყოველივეს ხარისხიანად განსახორციელებლად.
- დამატებით პრობლემას წარმოადგენს მოთხოვნა მწარმოებლებისა და მეთევზეების მიმართ **თევზის ეტიკეტირების** თაობაზე. ეს პროცესი საკმაოდ ძვირადღირებულია, რის გამოც ყველა მწარმოებელი ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას. ამიტომაც, უპირატესობა ენიჭება იმპორტირებულ პროდუქტს, რომელიც პირდაპირ ქვეყანაში შემოდის ყველანაირი საჭირო დოკუმენტაციით, რაც სანდოობას იწვევს კომპანიებისთვის.
- აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია **თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება** წარმოებაში. ეს აუცილებელია იმის გამოც, რომ საქართველოში შემცირებულია წყლის რესურსების რაოდენობა, რაც საშუალებას აღარ იძლევა, თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე მოხდეს, მაგალითად, 10-ტონიანი მეურნეობის წარმოება. რესპონდენტის განცხადებით, ძნელია საქართველოში ამ ეტაპზე მონახო მდინარე, რომელშიც წყლის ფილტრაციის, გადამუშავებისა ან ჟანგბადის დამატების გარეშე შესაძლებელი იყოს მეურნეობის წარმოება.
- რესპონდენტის განცხადებით, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის საკითხში [სამინისტროსგან](#) გადადგმული ნაბიჯები ჯერ კიდევ არ შეინიშნება და ხშირად პრობლემების მოგვარებაში დიდი წვლილი აქვთ დამოუკიდებელ გაერთიანებებს ბრაკონიერობის წინააღმდეგ. თავად [ზედამხედველობის დეპარტამენტში](#) არსებობს ადამიანური რესურსების ნაკლებობის, ცნობიერების ამაღლების, შესაბამისი ტექნიკისა და აღჭურვილობის არარსებობის პრობლემაც. [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს](#) ყველა მუნიციპალიტეტში თავისი წარმომადგენელი ჰყავს ექსტენციის სამსახურისა და ვეტერინარული მიმართულებებით, რომელთა გააქტიურებაც ძალიან საჭიროა. [სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს](#) მიერ თევზის უკანონო რეალიზაციის შემთხვევების გამოვლენაც არასაკმარისია, ხოლო აღმოჩენის შემთხვევაში კანონდამრღვევთათვის დაწესებულ ჯარიმებსაც ხშირ შემთხვევაში არ აქვს შემაკავებელი ეფექტი, რადგან ჯარიმის ოდენობა პრობლემას არ წარმოადგენს და კვლავ განაგრძობენ აღნიშნულ საქმიანობას. ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, უმნიშვნელოვანესია ყველანაირი ნორმისა და წესის დაცვის ფარგლებში პროდუქტის დასაწყობება და შენახვა და ამისათვის [სურსათის ეროვნული სააგენტოს](#) კონტროლი გასამკაცრებელია.

ბიზნეს-ასოციაციები და კერძო სექტორი

ორგანიზაცი(ებ)ის დასახელება:

- „საქართველოს თევზის მომპოვებელ ლიცენზიანტთა ასოციაცია“
- „საქართველოს საზღვაო თევზჭერის კლასტერი“
- „საქართველოს თევზმომშენებელთა ასოციაცია“
- შპს „ჯი ეფ სი“ (წალკის წყალსაცავზე თევზჭერის ლიცენზიანტი)
- თევზის გადამამუშავებელი საწარმო „უმალი“

პასუხების შეჯამება:

შავი ზღვასა და შიდა წყალსატევებში თევზჭერის სფეროში ჩართულმა ბიზნეს-ასოციაციებმა და ქვეყანაში თევზის გადამამუშავებელი სექტორის წარმომადგენლებმა ისაუბრეს დღეს საქართველოში არსებულ სიტუაციაზე მეთევზეობის მიმართულებით, აღწერეს ის საკითხები, რომლებიც კერძო სექტორისთვის პრობლემურია და წარმოადგინეს პრობლემების მოგვარების გზები.

(i) უშუალოდ შავ ზღვაზე თევზჭერასთან დაკავშირებით შემდეგი საკითხები იყო დასახელებული:

- რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში მეთევზეობის სექტორის განვითარების პერსპექტივა დიდია და სამწუხაროდ, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი აუთვისებლად შეიძლება ჩაითვალოს. არსებობს მრავალი ინვესტორის მოძიების პოტენციალიც, მაგალითად, ექსპორტზე თევზის გატანით. რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ ადგილობრივი ბაზარი აუთვისებელია, რადგან საქართველო თევზს მოიხმარს მხოლოდ ნედლი სახით და არა ნახევარფაბრიკატების სახითაც. რეალურად, მსგავსი ბიზნესის წარმოება და სუპერმარკეტებში ადგილობრივი თევზის პროდუქტების ნახევარ ფაბრიკატების სახით გამოჩენა საკმაოდ მომგებიანი იქნებოდა სექტორისთვის.
- საქართველოს შავი ზღვის აკვატორიას მიმზიდველს ხდის ის ფაქტი, რომ აქ მოპოვებული თევზი, როგორც კვლევები ადასტურებს, მაღალი ხარისხით გამოირჩევა (მასში 74-75%-ია პროტეინი, მაშინ როდესაც ევროპის ბაზარზე ანალოგიურ პროდუქტებში 65% პროტეინი მაქსიმალური მაჩვენებელია). შავი ზღვის თევზჭერის ლიცენზიანტების მფლობელობაში არსებულ ოთხ ქარხანაში თევზის ფქვილისა და თევზის ცხიმის წარმოება ხდება მაღალი ხარისხით, მოთხოვნა დიდია ამ თევზის ფქვილსა და თევზის ცხიმზე, რომლებიც შემდეგ ნედლეულად გამოიყენება სხვადასხვა წარმოებაში.
- საქართველო საზღვაო ქვეყანაა და არ არის განვითარებული ფლოტი, არ არის გემები, რომელთა საშუალებითაც თევზჭერა განხორციელდება. ეს პრობლემებს ქმნის თევზის რესურსის ათვისების კუთხითაც. ლიცენზიანტების საშუალებით, თურქეთიდან შემოდის თევზსაჭერი სეინერები ხელშეკრულებით ამ პრობლემის მოსაგვარებლად. როდესაც ლიცენზიის ვადა 2036 წლამდე გაიზარდა, ახალი ინვესტირების განხორციელების შესაძლებლობა მიეცა ლიცენზიანტებს. მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში გეგმა არის ის, რომ თურქული გემები მთლიანად ჩანაცვლდნენ ქართული გემებით და თევზჭერა მხოლოდ ქართული გემებით განხორციელდეს.

- ერთ-ერთი რესპონდენტი შენიშნავს, რომ საქართველოში რეგისტრირებული 34 გემიდან (ე.წ. “ქართული ფლოტი”) მხოლოდ 20 გემი არის მოქმედი და აწარმოებს თევზჭერას. თუმცა, **არსებული კვოტის 12% თანაბრად ნაწილდება 34-ვე გემზე, იმის მიუხედავად, რომ 14 გემი უფუნქციოდ არის დარჩენილი.** ეს კი პრობლემას წარმოადგენს.
- რესპონდენტების ნაწილი სექტორში არსებულ პრობლემათაგან გამოყოფს **თურქული ფლოტის მიერ თევზჭერას საქართველოს ტერიტორიაზე.** თურქული ფლოტის მიერ ხდება სათევზაოდ იმ ტერიტორიების ათვისება, რომლის ათვისების მზაობა ქართულ მხარესაც აქვს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ **პრობლემის გამოწვევაში სახელმწიფო კანონმდებლობის მიზეზიც არის.** სახელმწიფო კანონმდებლობის დონეზე ლიცენზიანტებს ეძლევათ საშუალება ნებისმიერი ქვეყნიდან ფლოტი შემოიყვანონ და განახორციელონ თევზჭერა, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი სექტორის განვითარებისთვის. რესპონდენტის მოსაზრებით, 2006 წელს ლიცენზირების სქემის შემოღება ქართული ფლოტისთვის უარყოფითი იყო. სქემის შემოღებას მოჰყვა არსებული კვოტების სრულიად გაყიდვა ლიცენზიანტებზე და მხოლოდ 10%-ის გამოყოფა ადგილობრივი მეთევზეებისთვის¹⁶. ამის გამო ევროპელი ინვესტორების დაინტერესებაც შეუძლებელი ხდება, როდესაც ისინი სექტორში არსებულ რეალობას ეცნობიან.
- ძალიან დიდ პრობლემად დასახელდა ის, რომ **არ არის ნავმისადგომი გემებისთვის.** რესპონდენტის განცხადებით, ევროპის ბაზარზე თევზის გატანისთვის არა მხოლოდ ქარხნები უნდა აკმაყოფილებდნენ სტანდარტებს, არამედ თევზის გადმოტვირთვის ადგილებიც.
- აღინიშნა, რომ სახელმწიფო რეგულაციებთან დაკავშირებით, როგორც წესი, მიმღებლობა აქვთ შავი ზღვის ლიცენზიანტებს (განსაკუთრებით, როდესაც ეს რეგულაციები ემსახურება ევროკავშირის ბაზარზე გასვლას და ევრორეგულაციებთან ჰარმონიზაციას). თუმცა, **მნიშვნელოვანია, რომ ლიცენზიანტები ჩართულები იყვნენ საკანონმდებლო ცვლილებების მიღების პროცესში.**
- თევზჭერის, როგორც პროფესიული დარგის განვითარებასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ შავი ზღვის ლიცენზიანტებისთვის განახლებული ლიცენზიის პირობებში გაჩნდა ვალდებულება, ქართული ეკიპაჟით დაკომპლექტებულიყო ქართული გემები. ამ მიზნით დადებითი ფაქტი იყო სახელმწიფოს მხარდაჭერით ფოთში **ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის** დაარსება, სადაც ამზადებენ უშუალოდ მეთევზე-მეზღვაურებს.

(ii) შიდა წყლებში თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებით შემდეგი საკითხები გამოიკვეთა:

- **წყალსაცავების სალიცენზიო პირობებში სახელმწიფო მიდგომები უნიფიცირებულია** (რესპონდენტის თქმით, 2010 წელს გაცემული ყველა ცხრა წყალსაცავის ლიცენზიანტს ერთი პირობები დაუდგინეს) და არ არის

¹⁶ 2006 წელს დადგინდა შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიანტებისათვის გამოყოფილი კვოტის 10% განაწილებულიყო ე.წ. ქართულ ფლოტზე, ხოლო 2016 წლიდან აღნიშნული მაჩვენებელი გახდა 12%, რომელიც დღესაც მოქმედებს. (ავტორის შენიშვნა).

გათვალისწინებული წყალსატევების ინდივიდუალური მახასიათებლები¹⁷. ასევე იყო ვალდებულება, რომ ლიცენზიანტს პასუხი ეგო წყალსაცავში წყლის დონის ცვლილებაზე, თევზდამცავების დაყენებაზე, წყლის დაბინძურებაზე. ამ პირობების შესრულების დროს არ არის გათვალისწინებული ის, რომ წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საქმიანობაც მოქმედებს იმაზე, რამდენად შესრულდება ეს პირობები. მაგალითად, თუ ჰესი არის აშენებული წყალსაცავთან, წყლის დონის ცვლილებაზე ჰესის მოხმარებული წყლის რაოდენობაც მოახდენს გავლენას; თუ წყალსაცავთან ახლოს სასტუმროს გაშენების ნებართვა გასცა ადგილობრივმა თვითმმართველობამ და სასტუმროს კანალიზაცია აბინძურებს წყალსაცავის წყალს, ან იქვე ახლოს სახნავ-სათესი მიწებია და გამოყენებული სასუქები აბინძურებს წყალს, ამ ყველაფერზე ლიცენზიანტი ვერ აიღებს ვალდებულებას და ა.შ. წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორია თუ სხვადასხვა მესაკუთრის მფლობელობაშია და ირგვლივ სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა მიმდინარეობს, იმ არეების ბიომრავალფეროვნების დაცვაზე მხოლოდ წყალსაცავის ლიცენზიანტი ვერ აიღებს პასუხისმგებლობას.

- რესპონდენტებმა მოიყვანეს მაგალითი, როდესაც მოყვარული მეთევზეების კლუბებმა ორი წლის წინ მთელ საქართველოში წყალსაცავებში ჩასვეს ქორჭილები. ეს არის სარეველა თევზი და იხტიოლოგების დასკვნის შესაბამისად, წყალსაცავებიდან ამოსაღები იყო ეს თევზი, თუმცა არსებული ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ხარვეზების გამო ამ თევზის რეწვა ვერ ხერხდება¹⁸.
- აღინიშნა ასევე სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის პრობლემები და ბიუროკრატიული ბარიერები. სახელმწიფოსგან მუდმივად ხდება ახალი კვლევებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემუშავების მოთხოვნა ლიცენზიანტების მიმართ, რაც მნიშვნელოვან დამატებით ფინანსურ და დროით რესურსებს საჭიროებს და ეს დანახარჯებია კომპანიისთვის. პრობლემებია ლიცენზიანტისგან სახელმწიფოსთვის გაგზავნილ წერილებზე უპასუხოება ან წლობით დაგვიანებული პასუხები. პრობლემები ჩნდება მაშინაც, როდესაც სახელმწიფო უწყებებს შორის საჭირო ინფორმაციის გაცვლა არ ხდება და შესაძლოა

¹⁷ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, “შიდა წყლებში თევზჭერის ლიცენზიების სალიცენზიო პირობები განსაზღვრულია [„თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №138 დადგენილებით \(2005\)](#) და ყველა ლიცენზიანტს შეეხება. ამასთან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია დამატებითი სალიცენზიო პირობები თევზის მარაგების კუთხით, რაც განსხვავდება წყალსატევის ფართობებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. არსებული ლიცენზიები გაცემულია აუქციონის წესით 2010 წელს (გარდა 2 ლიცენზიისა, რომლებიც გაცემულია 2005 წელს). სალიცენზიო და დამატებითი სალიცენზიო პირობების შესახებ ინფორმაცია ლიცენზიანტებს, ლიცენზიის აღებამდე ჰქონდათ და დათანხმდნენ მათ შესრულებას, თუმცა, არსებობს რიგი სალიცენზიო პირობები, რომელთა შეცვლაც აუცილებელია და აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა”. (ავტორის შენიშვნა).

¹⁸ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, „საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 მაისის №175 დადგენილებით ლიცენზიანტ კომპანიებს მიეცათ კანონმდებლობით დაშვებული ბადე-იარაღების გამოყენებით წყალსატევებში გავრცელებული ინვაზიური თევზის სახეობების (ქორჭილა, ქარიყლაპია, კარჩხანა, ფსევდორაზბორა) ამოჭერის უფლება. ამავე დადგენილებით აღნიშნულ თევზის სახეობებზე არ ვრცელდება ჭერისათვის დაშვებული თევზის მინიმალური სიგრძის დაცვის მოთხოვნები“. (ავტორის შენიშვნა).

კომპანია დაჯარიმდეს იმ საქმეზე, რაზეც ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს.

- კომპანიებისთვის დიდი დროითი და ფინანსური/ადმინისტრაციული ტვირთია, როდესაც **იხტიოლოგიური კვლევების ჩატარება** თვითონ უწევს. რესპონდენტის მოსაზრებით, ამ კვლევებს სახელმწიფო უნდა აკეთებდეს და შემდეგ აძლევდეს კომპანიას რეკომენდაციას, სადა, რომელ წყალსაცავში რა სახეობის თევზი უნდა მოშენდეს. თუმცა, ამავე დროს დაფიქსირდა სახელმწიფოს მიერ ჩატარებული კვლევების უზუსტობა და შესაბამისად, მათ მიმართ უნდობლობაც.
- აკვაკულტურის ფერმერები ერიდებიან [სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობას](#). ფიქრობენ, იქნებ რამე ისეთი დაავადება აღმოუჩინონ მათ თევზს, რომ ამის შემდეგ გამოუცხადონ კარანტინი მათ საქმიანობას. ამიტომ, ფერმერები ცდილობენ, თავის თავზე აიღონ მარცხიც, წარმატებაც და მოერიდონ [სააგენტოსთან ურთიერთობას](#).
- ე.წ. „მალაქიტის აქცია“, რაც გასულ გაზაფხულს მოხდა, იყო დიდი რყევა ფერმებისთვის. ვერც ერთმა ლობისტურმა ჯგუფმა მაშინ ვერ შეძლო ფერმერების დაცვა და ფერმერები აღმოჩნდნენ რეგულაციების წინაშე. მათ გააცნობიერეს, რომ ისინი დადგებიან გარკვეული საკანონმდებლო ვალდებულებების წინაშე და აუცილებელი იქნება მეურნეობებში შესაბამისი სანიტარული, სასურსათო უვნებლობისა და ვეტერინარული პირობების დაცვა.
- გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ დღეს აკვაკულტურის საწარმოებში ძალიან მარტივად არის მოწყობილი ჩამდინარე წყლების, აუზიდან გამოსული წყლების სისტემები; ასევე, ყველას არ აქვს მოწესრიგებული აკვაკულტურის თევზის სახეობის გაქცევის აღკვეთა ბუნებრივ მდინარეში - ეს დიდი ზარალის მომტანი შეიძლება იყოს, ვინაიდან გაქცეული თევზები შესაძლოა გახდნენ დაავადების გადამტანი ბუნებრივ გარემოში.
- [ღირებულებათა ჯაჭვის კვლევა](#) (2022) აჩვენა, რომ თევზის თვითღირებულების 70% არის თევზის საკვები. თევზჭერის ლიცენზიის გაცემის პერიოდში ლიცენზიანტებს დაეკისრათ ვალდებულება, რომ მათ გაეკეთებინათ თევზის საკვების საწარმო საქართველოში. დღეს აღნიშნული ლიცენზიანტები აწარმოებენ თევზისგან ნედლეულს (თევზის ფქვილს და ზეთს), შემდეგ ეს ნედლეული გადის საზღვარგარეთ/ექსპორტზე, სადაც ხდება თევზის საკვების წარმოება და საბოლოოდ, ქართველი ფერმერი თევზის საკვებს ყიდულობს საზღვარგარეთიდან/იმპორტით. ბუნებრივია, როდესაც ლარის დევალვაცია ხდება, ეს აზარალებს ფერმერებს, ვინაიდან თევზის საკვების ყიდვა უწევთ უცხოურ ვალუტაში და ეს აძვირებს საბოლოო პროდუქტს. თევზჭერის განვითარება ამ კუთხით, რომ ლიცენზიანტებმა პირობები შეასრულონ, პირდაპირ კავშირშია უკვე შემდეგ აკვაკულტურის განვითარებასთანაც.

(iii) თევზის გადამამუშავებელ სექტორში შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები გამოიყო:

- ქაფშიას საქართველოში შავი ზღვის ლიცენზიანტები მოიპოვებენ, თუმცა, მას შემდეგ, რაც უცხოური (თურქული) გემებით დაიწყო რესურსის მოპოვება, შეინიშნება ბაზარზე საკვებად ვარგისი ქაფშიას დეფიციტი (მოპოვებული ქაფშიას გამოყენება, ძირითადად, ხდება თევზის საკვების საწარმოებლად და რაც საკვებად

ვარგისია, მისი ხარისხი არ არის მისაღები ან მისაღების შემთხვევაში, ძალიან მაღალი ფასი აქვს).

- საერთო ჯამში, **გადამამუშავებელი წარმოება საქართველოში იყენებს უმეტესად იმპორტირებული თევზის რესურსს** რამდენიმე მიზეზიდან გამომდინარე: (ა) დაბალი ფასი (დაახლოებით 20%-ით უფრო ნაკლებია იმპორტირებული ნედლეულის ფასი ადგილობრივთან შედარებით და ეს ფაქტორი მეწარმისთვის მნიშვნელოვანია); (ბ) დაავადებებისგან თავისუფალი თევზი (საქართველოში უკვე შემოწმებული და ხარისხიანი პროდუქცია შემოდის საზღვარზე); და (გ) პროდუქტის მიმზიდველობა (ქართულთან შედარებით, მყიდველისთვის უფრო მიმზიდველი იმპორტირებული ნაწარმია).
- საქართველოში დამზადებული თევზის პროდუქციის ექსპორტი მნიშვნელოვანია, თუმცა, [სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს](#) მოთხოვნების შესაბამისად, **პროდუქციის ხარისხის შემოწმებისთვის საჭირო ანალიზების ჩატარება დიდ თანხებთან არის დაკავშირებული** და შეიძლება ამის გამო, კომპანიას არ უღირდეს პროდუქტის სხვა ქვეყნებში გატანა.
- მნიშვნელოვანი პრობლემა არის საქართველოში (დედაქალაქშიც, თუმცა, უმეტესად რეგიონებში) **არარეგულირებულ ბაზრებზე გაყიდული თევზის ხარისხი**. ხშირად მაღაზიებშიც იყიდება დაუდგენელი წარმოშობის თევზი, რომელთა მოხმარება მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს ჯანმრთელობისთვის. გარდა ამისა, არაკეთილსინდისიერ მაღაზიებს, ენერჯის დაზოგვის მიზნით, ზაფხულში ღამის საათებში მაცივრები გამორთული აქვთ და მხოლოდ დილით რთავენ - ეს პირდაპირი უარყოფითი ზეგავლენაა თევზის პროდუქტზე, რომელიც ამ მაცივარში ინახება.
- სახელმწიფო რეგულაციებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ **საქართველოში არის მეწარმისთვის კარგი საგადასახადო სისტემა** (მაგალითად, შესაძლებელია, განბაჟების მოგვიანებით გაკეთება, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადანაწილება და ა.შ.).
- აღინიშნა **თევზის მეურნეობაში სპეციალისტების (მაგალითად, თევზის ტექნოლოგი) ნაკლებობის პრობლემა**. ასევე, რესპონდენტის მოსაზრებით, კარგი იქნება, რომ თევზის მეურნეები მეტად გაცნობიერდნენ თევზის მოშენების მიმართულებით, მოხდეს მათთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება, მათი განათლება, თეორიული ცოდნის ამაღლება.

საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები

ორგანიზაცი(ებ)ის დასახელება:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი („ილიაუნი“)
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
- კვლევითი და საკონსულტაციო კომპანია შპს „სუხმან კონსალტინგი“

პასუხების შეჯამება:

საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებმა შეაფასეს მდგრადი მეთევზეობის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული სიტუაცია, აკადემიური და კვლევითი განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები:

- აღინიშნა, რომ დღეს საქართველოში თევზჭერის მიმართულებით (ისევე როგორც სხვა გარემოსდაცვითი საკითხების მიმართულებით, მაგალითად, წყლის შესახებ კანონი, ბიომრავალფეროვნების შესახებ კანონი და ა.შ.) **პოლიტიკის შემუშავების დროს საზოგადოების ჩართულობა პროცესებში არის დაბალი**. შესაძლოა, ინფორმირებულობა არის პროფესიულ წრეებში და გარკვეული მხარეები იღებენ მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავების დონეზე, თუმცა, ასევე აუცილებელია, რომ საკითხები დაიფაროს მასობრივი მედიის საშუალებითაც, რომ ფართო საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ.
- ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებით, ახალგაზრდების ინტერესი მეთევზეობის სფეროს მიმართ მაღალია, თუმცა ამ სფეროს შესწავლის საშუალება მხოლოდ ორ უნივერსიტეტში ([ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტსა](#) და [“ილიაუნში”](#)) ეძლევათ. **ადამიანური რესურსების ნაკლებობა ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ამ სფეროში**, რადგან უნივერსიტეტებში ამ დარგის კვალიფიციური ლექტორების რაოდენობა საკმაოდ ცოტაა. ასევე პრობლემას წარმოადგენს კონსალტინგის საკითხი, სადაც ასევე სპეციალისტთა ნაკლებობაა. **თევზჭერის მიმართულებით (ეს ეხება როგორც იხტიოლოგიას, ასევე ვეტერინარიას) პროფესიული კადრების ნაკლებობაზე** საუბრობენ სხვა რესპონდენტებიც. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, მოხდეს ახალგაზრდების დაინტერესება ამ მიმართულებებით, ვინაიდან დღესდღეობით ძალიან მცირეა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც, მაგალითად, იხტიოლოგიას ირჩევენ სპეციალობად. საქართველოში უნდა განვითარდეს ეს სფერო, როგორც აკადემიური და პროფესიული დარგი. კარგი მაგალითია სატყეო მიმართულებით ახალგაზრდების დაინტერესების გამოცდილება საქართველოში. როდესაც გაჩნდა შესაბამისი პროექტები, სათანადო ანაზღაურებით და ახალგაზრდებმა დაინახეს, რომ მიღებული ცოდნით დასაქმდებოდნენ მომავალში, შესაბამისად, გაიზარდა სატყეო სფეროთი დაინტერესებაც.
- ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ **თევზჭერის სექტორში კვლევების მოთხოვნა ძალიან დაბალია**. მისი აზრით, არც კანონმდებლობა არ იძლევა ამ სფეროს განვითარების პოტენციალს.
- ასევე, აღინიშნა, რომ თევზჭერის მიმართულებით აკადემიურ სფეროში დღეს პრობლემა არის დარგისთვის დამახასიათებელი **საერთაშორისო ტერმინების თარგმნასთან** დაკავშირებით. ჯერჯერობით არ არის ქვეყანაში თევზის სახეობების შესაბამისი თარგმანები და აუცილებელია ამის მოგვარება, სხვანაირად ხელი ეშლება სწავლა-სწავლების პროცესს და შესაბამისი ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვისაც (თუნდაც მაკონტროლებელი ორგანოები) არ არის გასაგები ტერმინების ზუსტი მნიშვნელობა.
- კიდევ ერთი პრობლემა, რაც შესამჩნევია თევზჭერის მიმართულებით საქართველოში, არის ის, რომ არსებული **სათევზე მეთურნეობები ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და პროფესიონალების ჩართვა ნაკლებად ხდება წყალსატევების დათევზიანების თუ სხვა საჭირო შეფასებების დროს**. სამეცნიერო

წრის ჩართვა ამ პროცესებში უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან შეიძლება წყალსატევის დათევზიანება ხდებოდეს უცხო ინვაზიური სახეობებით, რომელთა ზეგავლენის შესახებ ინფორმაცია არ არის შესწავლილი. არა მხოლოდ უცხო ქვეყნიდან შემოსული თევზით დათევზიანების შემთხვევაში, არამედ თუნდაც საქართველოში, დასავლეთ საქართველოს წყლებიდან აღმოსავლეთ საქართველოს წყლებშიც კი არ შეიძლება შეფასების გარეშე სახეობების გამრავლება, ვინაიდან ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ენდემურ სახეობებს და ადგილობრივი ეკოსისტემის რღვევა გამოიწვიოს.

- ერთ-ერთი რესპონდენტი ახასიათებს მეთევზეობის სამ სექტორს (სამრეწველო, სანაპიროსა და სამოყვარულო მეთევზეობის სექტორებს) და აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, საქართველოში **სამოყვარულო და სანაპირო მეთევზეობის სექტორებში კვლევისთვის აუცილებელი მონაცემთა შეგროვება არ მიმდინარეობს**, ვინაიდან ეს კანონმდებლობით რეგულირებადი არ არის. აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივ დასაბალანსებლად რეგლამენტში შევიდა შენიშვნა ბადეთა აღრიცხვიანობის თაობაზე, კერძოდ კი, ბადეთა მონიშვნის ინიციატივა, რაც თავის მხრივ, ამარტივებს ბადეთა იდენტიფიცირებას და ხელს უწყობს უკანონო თევზჭერის შემთხვევების პრევენციას (რესპონდენტის თქმით, არალეგარული თევზჭერა, ფაქტობრივად, სრულებით დაკავშირებულია სანაპირო მეთევზეობის სექტორთან). თუმცა, აღნიშნული ინიციატივა სტატისტიკური მონაცემების მიღებას ვერ უზრუნველყოფს. ასევე, აღინიშნა, რომ ძალიან ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში არ არსებობს მეთევზეთა საბარათე სისტემა. ამის მიზეზად რესპონდენტი საქართველოში მეთევზეობის სოციალურ დატვირთვას ასახელებს, რაც ჩვენ, როგორც განვითარებად ქვეყანას გვახასიათებს. **რაც შეეხება სარეწაო მეთევზეობის სექტორს, აქ მონაცემთა მოგროვება მეტნაკლებად სრულყოფილად მიმდინარეობს.** სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ერთ-ერთ საშუალებად *ვიდეო კონტროლის სისტემა* მიიჩნევა, რომელიც დანერგილია მხოლოდ ლიცენზიანტ გემებზე. ასევე არსებობს *ელექტრონული სისტემა*, რომელიც დანერგილია ლიცენზიანტი გემების გარდა რამდენიმე სხვა გემზეც. ამ სისტემით მონაცემების აღრიცხვა მიმდინარეობს როგორც ელექტრონულ ჟურნალში, ასევე ფიზიკურად ქაღალდის ჟურნალშიც.